



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის

დეპარტამენტის უფროსი

თორნიკე შერმადინი

“12” აგვისტო 2019 წელი
N 42/36

ეგზ.: N1

სს „საქართველოს სახელმწიფო
ელექტროსისტემის“

2014-2017 წლების შესაბამისობის აუდიტის
ანგარიში

სარჩევი

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები	4
შემაჯამებელი მიმოხილვა	5
გაცემული რეკომენდაციები	9
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	11
აუდიტორის პასუხისმგებლობა	11
აუდიტის საგანი	11
აუდიტის მასშტაბი	11
აუდიტის კრიტერიუმები	12
აუდიტის მიზანი	12
აუდიტის მეთოდოლოგია	12
ორგანიზაციის ზოგადი მიმოხილვა	13
აუდიტის მიგნებები	15
1. რეაბილიტაციის მმართველთან გაფორმებული ხელშეკრულების ნაკლოვანებები	15
1.1. რეაბილიტაციის მმართველის პასუხისმგებლობების არასათანადოდ განსაზღვრა	15
1.2. რეაბილიტაციის მმართველის შრომის ანაზღაურების დაუსაბუთებელი ზრდა	15
2. რეაბილიტაციის გეგმასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები	16
2.1. რეაბილიტაციის გეგმაში ვალდებულებების ასახვის ნაკლოვანებები	16
2.2. რეაბილიტაციის გეგმაში ხარჯების დაუსაბუთებელი ზრდა	17
2.3. გეგმასთან შეუსაბამოდ გაწეული ხარჯები და ფინანსთა სამინისტროს მიერ არასათანადო კონტროლი	17
2.4. უზრუნველყოფილ კრედიტორთან შეუთანხმებელი არასათანადოდ კლასიფიცირებული ხარჯები	18
3. კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება	20
4. ხელფასები და პრემიები	21
4.1. გაუმჭვირვალე სახელფასო პოლიტიკა	22
4.2. სახელფასო და საპრემიო ფონდების ათვისება რეაბილიტაციის გეგმის შეუსაბამოდ	22
4.3. სახელფასო და საპრემიო ფონდების რეაბილიტაციის გეგმის შეუსაბამოდ ზრდა	23
4.4. კომპანიის შინაგანაწესთან შეუსაბამოდ გაცემული პრემიები	24
4.5. აქციონერთან შეუთანხმებელი მენეჯმენტის პრემირების წესი	25
5. მივლინების ხარჯები	25
5.1. არამიზანშეწონილი სამივლინებო ხარჯები	25
5.2. ტრანსპორტის და როუმინგული მომსახურების ხარჯების ნაკლოვანებები	26
6. წარმომადგენლობითი ხარჯები	27
6.1. წარმომადგენლობითი ხარჯების დაუსაბუთებელი ზრდა	27
6.2. პირველადი დოკუმენტების გარეშე გაწეული ხარჯები	29
7. საექვო მოთხოვნების ხარჯები	29
7.1. მოთხოვნების ჩამოწერასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები	29
7.2. დებიტორული დავალიანებების დაფარვასთან დაკავშირებული ხარვეზები	30
7.3. არარეალური ვალდებულებების აღიარება	31
7.4. მოთხოვნებთან დაკავშირებული სხვა ნაკლოვანებები	31
8. საინვესტიციო პროექტები	33
8.1. ქონების გამოსყიდვის ხელშეკრულებების ხარვეზები	33
8.2. ნებართვის გარეშე დაწყებული სამშენებლო სამუშაოები	34
8.3. ელექტროსისტემისთვის დაკისრებული ჯარიმები	35
9. შესყიდვები	38
9.1. უსაფუძვლოდ გამარჯვებული პრეტენდენტები	38
9.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა	42

9.3. არასათანადოდ განსაზღვრული ტექნიკური მოთხოვნები	43
9.4. უზრუნველყოფის გარანტიის გარეშე გაფორმებული ხელშეკრულებები	44
10. რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა	44
ინფორმაციული ტექნოლოგიების გარემოს შეფასება	55

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები

ელექტროსისტემა ან კომპანია - სააქციო საზოგადოება „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“;

აუდიტის სამსახური - სახელმწიფო აუდიტის სამსახური;

გადახდისუნარიობის კანონი - „გადახდისუნარიობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი;

რეაბილიტაციის მმართველი - რეაბილიტაციის მმართველი/მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე;

სპეცწესი - შესყიდვების სპეციალური წესი, რომელიც კომპანიას საშუალებას აძლევს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე მთავრობის მიერ დადგენილი წესით შეისყიდოს საქონელი ან მომსახურება. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის N53 დადგენილება „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ ელექტროენერგიის გადაცემა-დისპეტჩერიზაციის შეუფერხებლად განხორციელებისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“.

უზრუნველყოფილი კრედიტორი - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (ერთადერთი უზრუნველყოფილი კრედიტორი)

ესკაა - ელექტროენერგიის და სიმძლავრის კონტროლისა და აღრიცხვის ავტომატიზებული სისტემა

აგგკ - აღრიცხვის გამზომ-გამოთვლითი კომპლექსი

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 2014-2017 წლების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები და ნაკლოვანებები:

რეაბილიტაციის მმართველთან გაფორმებული ხელშეკრულების ნაკლოვანებები

რეაბილიტაციის მმართველსა და ფინანსთა სამინისტროს შორის გაფორმებული ხელშეკრულება არ შეესაბამება გადახდისუნარიობის კანონს, ვინაიდან მასში მკაფიოდ არ არის განსაზღვრული რეაბილიტაციის მმართველის პასუხისმგებლობის საკითხები.

ასევე მმართველის შრომის ანაზღაურების ზრდის პრაქტიკა ხასიათდება ნაკლოვანებით, რადგან გათვალისწინებულია ყოველწლიურად, უპირობოდ 10%-იანი ზრდა, რაც არ ეფუძნება გონივრულ კრიტერიუმებს.

რეაბილიტაციის გეგმასთან დაკავშირებული ხარვეზები

რეაბილიტაციის გეგმაში ასახული 10,819,341 ლარის ვალდებულება აღიარებულია კანონმდებლობის მოთხოვნების დაუცველად. კერძოდ, კრედიტორთა მოთხოვნების შემოწმება არ განხორციელებულა სასამართლო წესით. აღნიშნული ვალდებულებებიდან 2014-2017 წლებში გადახდილია 15,684 ლარი. ამასთანავე, რეაბილიტაციის გეგმაში წარმოდგენილია ლიკვიდირებული კომპანიებიც. ამდენად, გეგმაში მოცემული კრედიტორული დავალიანებები არ ასახავს კომპანიის რეალურ ვალდებულებებს, რაც ზრდის თანხების სამართლებრივი საფუძვლების გარეშე გადახდის რისკს.

რეაბილიტაციის გეგმაში შეტანილი ცვლილებებით, ხარჯები ყოველწლიურად იზრდება უზრუნველყოფილი კრედიტორისათვის (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო) სათანადო დასაბუთების წარდგენის გარეშე. 2014-2017 წლებში რეაბილიტაციის გეგმა შეიცვალა სამჯერ, რის შედეგადაც ხარჯების მუხლი გაზრდილია ჯამში 45,843,643 ლარით,¹ საიდანაც 21,238,877 ლარის ზრდა (46%) დაუსაბუთებელია. შესაბამისად, შესაძლებელია გეგმაში შევიდეს ისეთი ცვლილებები, რომლებიც რეალურად აუცილებელი არ არის რეაბილიტაციის მიზნების მისაღწევად.

კომპანიის მიერ რიგ მუხლებში გაწეული ფაქტობრივი ხარჯები აღემატება კრედიტორთან შეთანხმებულ ზღვრულ მოცულობებს. ელექტროსისტემაში დანერგილი პრაქტიკით, სამეურნეო წლის დასრულების შემდეგ გეგმა კორექტირდება, რის შედეგადაც ხდება გეგმური მაჩვენებლების ფაქტობრივთან შესაბამისობაში მოყვანა. გამომდინარე აქედან, ელექტროსისტემის მიერ ფაქტობრივად გაწეული ხარჯვითი ოპერაციები არ ხორციელდება წინასწარ დამტკიცებული რეაბილიტაციის გეგმის მიხედვით. ვინაიდან კრედიტორის ინფორმირება საანგარიშო პერიოდში ხარჯების მოცულობების გადახარჯვის შესახებ ხორციელდება ხარჯების ფაქტობრივად გაწევის შემდგომ, რეაბილიტაციის გეგმის ცვლილების პროცესში ფინანსთა სამინისტროს, როგორც უზრუნველყოფილი კრედიტორის მონაწილეობა ფორმალური ხასიათის არის.

¹ მხოლოდ გაზრდილი მუხლების ჯამი

2014-2017 წლებში კომპანიის ფინანსური მდგომარეობა გაუარესებულია, რაზეც სხვადასხვა ფინანსური მაჩვენებლებიც მეტყველებს, მაგალითად: მთლიანი ვალდებულებების პროცენტული წილი მთლიან აქტივებში გაიზარდა 40%-დან 67%-მდე. აღნიშნული ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში, სახელმწიფოს მხრიდან დამატებითი სუბსიდირების გარეშე, ექვეყნეშ დგება რეაბილიტაციის ერთ-ერთი უმთავრესი მიზნის მიღწევა ელექტროსისტემის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ელექტროსისტემის ძირითადი კრედიტორია სახელმწიფო, რომლის მიმართ ვალდებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნახევარ მილიარდ ლარზე მეტს შეადგენდა (521,117,937 ლარი).

კომპანიის განმარტებით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ 2017 წლის ბოლოს დადგენილი ელექტროსისტემის შემოსავლების გაანგარიშების გაზრდილი ტარიფების² საფუძველზე ელექტროსისტემა რეაბილიტაციის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში 2018 - 2023 წლებში გეგმავს საოპერაციო შემოსავლების მნიშვნელოვან ზრდას და წმინდა ფინანსური შედეგების არსებით გაუმჯობესებას.

შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ხარვეზები

რეაბილიტაციის გეგმის მოთხოვნის მიუხედავად, კომპანიაში არ არის დადგენილი შრომის ანაზღაურების ოდენობები კონკრეტული თანამდებობების მიხედვით. ზოგიერთ შემთხვევაში ერთსა და იმავე სტრუქტურულ ერთეულში, იდენტურ პოზიციებზე დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურებებს შორის სხვაობა 100%-ს აჭარბებს. არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს სახელფასო პოლიტიკის გამჭვირვალობას და ქმნის შრომის არასამართლიანი ანაზღაურების შესაძლებლობას. ასევე, რეაბილიტაციის გეგმასთან შეუსაბამოდ არის განსაზღვრული 2015-2016 წლების სახელფასო და საპრემიო ფონდები. კერძოდ, სახელფასო ფონდი გაზრდილია 2,456,635 ლარით, ხოლო საპრემიო ფონდი 409,439 ლარით მეტი ოდენობით;

2014-2017 წლებში 12 მლნ ლარზე მეტი პრემია გაცემულია კომპანიაში დამტკიცებული პრემიების წესის მოთხოვნების შეუსაბამოდ, რომელიც გულისხმობს პრემიის გაცემის შესაძლებლობას ფინანსური შედეგების (მოგების) გათვალისწინებით. რამდენადაც კომპანიის წმინდა ფინანსური შედეგები ოთხივე წლის შემთხვევაში უარყოფითია, კომპანიას აღნიშნული პრემიების გაცემის უფლება არ ჰქონდა. რაც შეეხება უშუალოდ მენეჯმენტის პრემიების წესს, რომლის განსაზღვრაც აქციონერის უფლებამოსილებაა, დამტკიცებულია კომპანიის რეაბილიტაციის მმართველის მიერ და არ არის შეთანხმებული აქციონერთან.

მივლინების ხარჯებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

კომპანიის 2014-2017 წლის ფინანსური შედეგების გათვალისწინებით (76,708,726 ლარის ზარალი), ფინანსთა მინისტრის მიერ დაწესებული ნორმების ზემოთ 279,837 ლარის ხარჯების გაწევა არ იყო მიზანშეწონილი. ასევე არ არის მიზანშეწონილი, მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის, მმართველთა საბჭოს წევრებისა და მათი თანმხლები პირებისათვის საზღვარგარეთ მივლინების დროს საცხოვრებელი ფართის ხარჯების ულიმიტოდ გაწევა, რისი შესაძლებლობაც განსაზღვრულია ელექტროსისტემის ბრძანებით.³

² გადაცემა დისპეტჩერიზაცია

³ N132, 15.03.2016, მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

კომპანია ანაზღაურებს თანამშრომელთა მივლინების ადგილზე ტრანსპორტის დაქირავების და როუმინგის ხარჯებს. 2014-2017 წლებში როუმინგული მომსახურებისათვის ელექტროსისტემის მიერ გაწეული ხარჯი შეადგენს 227,199 ლარს. მათ შორის, მხოლოდ რეაბილიტაციის მმართველის როუმინგული მომსახურებისთვის ელექტროსისტემამ გადაიხადა 156,738 ლარი. ყურადღებას იქცევს 2014 წლის აგვისტოში რეაბილიტაციის მმართველის როუმინგულ მომსახურებაში, ხუთ დღეში გადახდილი 29,254 ლარი, რაც შეუსაბამოდ მაღალ, არაგონივრულ ხარჯს წარმოადგენს.

წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

რეაბილიტაციის გეგმის ცვლილებებით 2014-2017 წლებში დაუსაბუთებლად არის გაზრდილი წარმომადგენლობითი ხარჯები 550,727 ლარით. 2014-2017 წლებისთვის დაგეგმილი იყო 203,977 ლარის წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევა. გეგმაში შეტანილი ცვლილებებით წარმომადგენლობითი ხარჯები გაიზარდა 550,727 ლარით და შეადგინა 754,704 ლარი, ხოლო ამავე წლებში ფაქტობრივად დაიხარჯა 1,421,679 ლარი, რაც 666,975 ლარით აღემატება შესაბამის პერიოდებში დაზუსტებულ გეგმურ მონაცემებს.

წარმომადგენლობითი ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი, 800,000 ლარზე მეტი, დახარჯულია ქვესადგურების მშენებლობა-რეაბილიტაციის დაწყება-დასრულების აღსანიშნავ ღონისძიებებზე და სხვადასხვა სახის საჩუქრებსა და სუვენირებზე, რაც რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფი კომპანიისთვის არაეკონომიური დანახარჯებია;

რესტორნის ხარჯებიდან 39 ათას ლარზე მეტი ანგარიშვალდებულ პირებზე ჩამოწერილია მიმწოდებლების მიერ ხარჯის დამადასტურებელი სრული პირველადი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე, მხოლოდ ჩეკისა და გადახდის დამადასტურებელი ქვითრის საფუძველზე;

საექვო მოთხოვნების ხარჯებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

ელექტროსისტემის მიერ 2014-2017 წლებში 137,869 ლარის ოდენობის მოთხოვნები უიმედო ვალად აღიარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების და უზრუნველყოფილ კრედიტორთან შეთანხმების გარეშე.

კომპანიის მიერ საკმარისი სამართლებრივი ღონისძიებების გაუტარებლობის შედეგად ხანდაზმულ მოთხოვნად იქცა 1,320,845 ლარის დებიტორული დავალიანებები.

საინვესტიციო პროექტებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

2014-2017 წლებში ელექტროსისტემის მიერ ახალი ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის პროექტების ზემოქმედების ზონაში მოქცეული აქტივების შემენაზე დახარჯულია 25,948,010 ლარი. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა 8,647,776 ლარის⁴ კომპენსაციებთან დაკავშირებით შედგენილი დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნები და სხვა დოკუმენტაცია. 6 შემთხვევაში (1,755,782 ლარის ჯამური კომპენსაცია), შესასყიდი ქონების შეფასების ფოტომასალა არ იძლევა შესაბამისი შენობა-ნაგებობების და მრავალწლიანი ნარგავების იმ ღირებულებით აღქმის და იდენტიფიცირების შესაძლებლობას, რა ღირებულებითაც მოხდა მათი შეფასება. ზოგიერთ შემთხვევაში კი ფოტოდოკუმენტირება არ იძლევა სათანადო რწმუნებას შეფასებული ქონების შესაბამისი რაოდენობით არსებობის შესახებ.

⁴ 25,948,008 ლარიდან

2014-2017 წლებში ელექტროსისტემის მიერ ცალკეულ შემთხვევებში სამშენებლო სამუშაოები დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გარეშე, რისთვისაც აუდიტის პერიოდში დაჯარიმებულია 25-ჯერ, ჯამში 69,400 ლარით, საიდანაც 40,100 ლარი წარმოადგენს განმეორებითი სამშენებლო სამართალდარღვევისათვის დაკისრებულ ჯარიმას. აღნიშნული ცხადყოფს, რომ სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას კანონმდებლობით გათვალისწინებული დაჯარიმების საფუძვლების აღმოფხვრა ელექტროსისტემისთვის არ არის იმდენად პრიორიტეტული, რამდენადაც უნდა იყოს ასეთ სამუშაოებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკების გამო.

ელექტროსისტემის მიერ 2014-2015 წლებში „ჯვარი-ხორგისა“ და „ქსანი-სტეფანწმინდის“ გადამცემი ხაზების პროექტირებისა და მშენებლობის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, გადამცემი ხაზების მშენებლობა უნდა დასრულებულიყო 2016 („ჯვარი-ხორგა“) და 2017 წლებში („ქსანი-სტეფანწმინდა“), თუმცა პროექტის განხორციელების დროს წარმოქმნილმა პრობლემებმა გამოიწვია გადამცემი ხაზების მშენებლობის შეფერხება. კონტრაქტორების მოცდენის გამო ელექტროსისტემამ გადაიხადა 10,220,729 ლარის ჯარიმა. აღნიშნული ჯარიმის გადახდის მთავარი მიზეზი იყო, რომ კომპანიამ ხელშეკრულებების გაფორმების დროს არ შეაფასა არსებული რისკები (განსახლების სირთულესთან დაკავშირებული რისკები).

შესყიდვებში გამოვლენილი ნაკლოვანებები

ცალკეულ შესყიდვებში პრეტენდენტების ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამებოდა შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს, თუმცა პრეტენდენტი გამარჯვებულად ცხადდებოდა დაზუსტების მექანიზმის გამოყენების გარეშე, ხოლო არასათანადოდ დაზუსტებული წინადადების შემთხვევაში პრეტენდენტს შემსყიდველი არ აძლევდა დისკვალიფიკაციას. ასეთი შესყიდვების ჯამურმა სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 5,706,291 ლარი.

გაცემული რეკომენდაციები

რეკომენდაცია N1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაზე“ ზედამხედველობის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, რეაბილიტაციის მმართველთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მკაფიოდ განისაზღვროს მმართველის პასუხისმგებლობის საკითხები და მისი შრომის ანაზღაურების განსაზღვრის გონივრული კრიტერიუმები.

რეკომენდაცია N2. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“

ფულადი სახსრების სამართლებრივი საფუძვლით განკარგვის მიზნით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაზე“ უზრუნველყოს რეაბილიტაციის გეგმაში ასახული ვალდებულებების დაზუსტება და გეგმაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის ინიცირება.

რეკომენდაცია N3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ რეაბილიტაციის გეგმის ცვლილების პროცესში უზრუნველყოფილი კრედიტორისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების სრულყოფილად და ეფექტიანად განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, ელექტროსისტემის მიერ მომზადებული პროექტის განხილვა-შეთანხმების პროცესში, გააანალიზოს მისი დასაბუთებულობა, აუცილებლობა და რეაბილიტაციის გეგმის ცვლილების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღოს მისი, როგორც ერთადერთი უზრუნველყოფილი კრედიტორის ინტერესების გათვალისწინებით.

რეკომენდაცია N4. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“

რეაბილიტაციის გეგმასთან შესაბამისობის მიზნით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაზე“ იმავე გეგმით დამტკიცებული ზღვრული მოცულობების ზემოთ ხარჯები გასწიოს მხოლოდ უზრუნველყოფილ კრედიტორთან დასაბუთებული წინასწარი შეთანხმებისა და შესაბამის მუხლებში გათვალისწინებული მოცულობების გაზრდის შემდგომ.

რეკომენდაცია N5. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“

ფინანსთა სამინისტროს მიერ ელექტროსისტემის ხარჯების მიზნობრიობის კონტროლისათვის, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაზე“ უზრუნველყოს დაგეგმვის ეტაპზე ცნობილი დანახარჯების შესაბამის მუხლებად კლასიფიცირება და უზრუნველყოფილ კრედიტორთან ზღვრული მოცულობების შეთანხმება.

რეკომენდაცია N6. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“

გამჭვირვალე და სამართლიანი შრომის ანაზღაურების პოლიტიკის უზრუნველსაყოფად, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაზე“ განსაზღვროს კომპანიის მიზნების და ამოცანების შესაბამისი პოზიციები და შეიმუშაოს თითოეულის შესაბამისი შრომის ანაზღაურების მოცულობის დადგენის ობიექტური და დასაბუთებული კრიტერიუმები.

რეკომენდაცია N7. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“

რეაბილიტაციის გეგმასთან შესაბამისობის, სახელფასო/საპრემიო ფონდების ეფექტიანად დაგეგმვის და სამართლიანად განკარგვის მიზნით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაზე“ უზრუნველყოს კომპანიაში არსებული თანამდებობების ტექნიკურ და ადმინისტრაციულ კატეგორიებად კლასიფიცირება და შესაბამისი სახელფასო და საპრემიო ფონდების რეაბილიტაციის გეგმის შესაბამისად განკარგვა.

რეკომენდაცია N8. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“

სავალო მოთხოვნების ეფექტიანად მართვის და ფულადი დანაკარგების მაქსიმალურად შემცირების მიზნით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ვადამოსული მოთხოვნების დროულ გამოვლენას და მათ ამოსაღებად შესაბამის ქმედებებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ელექტროსისტემის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც გამორიცხავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით შეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შესაბამისობა ეთიკის ნორმებს. სტანდარტი ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები დასკვნის გამოსატანად იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ელექტროსისტემის 2014-2017 წლების აუდიტის საგნით გათვალისწინებული საქმიანობა დადგენილ კრიტერიუმებთან მიმართებით არსებით შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან შეუსაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა შემდეგი საკითხები:

- რეაბილიტაციის გეგმა;
- ხელფასები და სხვა სარგებელი;
- მივლინებები ქვეყნის ფარგლებს გარეთ;
- წარმომადგენლობითი ხარჯები;
- საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები;
- საინვესტიციო პროექტები (პროექტების განხორციელებისას აქტივების შეძენა და კომპენსაციების გადახდა, მშენებლობების ნებართვები);
- შესყიდვები;
- რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების გარემოს შეფასება.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტმა მოიცვა ელექტროსისტემის მიერ 2014 - 2017 წლებში განხორციელებული საქმიანობა.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანება „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- შესყიდვების სპეცწესი;
- ელექტროსისტემის 2016 წლის 15 მარტის N132 ბრძანება „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის თანამშრომელთათვის ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების წესებისა და პროცედურების შესახებ“;
- ელექტროსისტემის რეაბილიტაციის გეგმა;
- სხვა კრიტერიუმები (რაც მითითებულია ძირითად ტექსტში).

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, თუ რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: გამოკითხვა, შემოწმება, გარე დადასტურება, ხელახალი გაანგარიშება, ძირითადი აუდიტორული პროცედურები, ანალიზური პროცედურები.

ორგანიზაციის ზოგადი მიმოხილვა

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ აქციათა 100%-ს ფლობს სს „საპარტნიორო ფონდი“. კომპანია სააქციო საზოგადოების ფორმით ფუნქციონირებს 2011 წლიდან. მისი აქციების 100%-ის მართვის უფლება 2012 წლიდან გადაცემული⁵ ჰქონდა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს,⁶ თუმცა სს „საპარტნიორო ფონდს“ დარჩა ელექტროსისტემის გასხვისების და დივიდენდების განაწილების უფლებამოსილებები.

ელექტროსისტემა ქვეყნის მასშტაბით ფლობს და ექსპლოატაციას უწევს 3,350 კმ სიგრძის ელექტრო-გადამცემ ხაზებსა და 90 ქვესადგურს.

მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- საქართველოს ტერიტორიაზე ელექტროგადამცემი ქსელის მეშვეობით ელექტროენერგიის გადაცემის უზრუნველყოფა;
- ელექტროენერგიის გადაცემი ქსელის საიმედო ფუნქციონირების უზრუნველყოფა, წარმოების, დისპეტჩერიზაციის და განაწილების ლიცენზიატების, აგრეთვე პირდაპირი მომხმარებლების მოთხოვნათა შესაბამისად;
- ტექნიკური გადაიარაღების უზრუნველყოფა;
- ქვესადგურებში და ელექტრო გადამცემ ხაზებზე კაპიტალური რემონტების, აღდგენის და ახალი ელექტრო გადამცემი ხაზების მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;
- მშენებლობის, კაპიტალური რემონტების, აღდგენის, რეკონსტრუქციის, აგრეთვე ელექტროდანადგარების და მოწყობილობების საექსპლოატაციო მომსახურებისათვის საჭირო სამუშაოების საიჯარო და სამეურნეო წესით ჩატარება;
- ელექტროენერგიის გადაცემის აღრიცხვიანობის ოპტიმიზაცია და მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა;
- ავარიის საწინააღმდეგო ღონისძიებების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება;
- ენერგოსისტემის მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ტექნიკური საშუალებების დაპროექტება, მონტაჟი და ექსპლოატაცია.

ელექტროსისტემა არის ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზიანტის შპს „ენერგოტრანსის“ 100%-იანი და თურქეთში დაფუძნებული კომპანიის სს „ქარჩალ ენერჯის“ 99%-ის წილის მფლობელი. შპს „ენერგოტრანსის“ მიზანია ელექტროენერგიის გადაცემა და მის მფლობელობაში არსებული ელექტროგადამცემი ხაზების ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ხოლო სს „ქარჩალ ენერჯის“ მიზანია ელექტროენერგიისა და/ან სიმძლავრის ბითუმად ვაჭრობა და პირდაპირ მომხმარებლებზე მიყიდვა.

ელექტროსისტემის საოპერაციო შემოსავლის წყაროა კვალიფიციური საწარმოებისთვის ელექტროენერგიის გადაცემა და დისპეტჩერიზაცია.

⁵ 2012 წლის 31 მარტის ხელშეკრულება

⁶ აღნიშნული მართვის უფლება 2017 წლის დეკემბრიდან გადაეცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, როგორც ენერგეტიკის სამინისტროს უფლებამონაცვლეს

ელექტროსისტემა 2008 წლიდან 2023 წლამდე იმყოფება რეაბილიტაციის რეჟიმში, რაც მიზნად ისახავს კრედიტორთა მოთხოვნების ეტაპობრივ სრულ დაკმაყოფილებას ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების გზით.

ცხრილი N1: რეაბილიტირებული ვალდებულებები რეაბილიტაციის გეგმის მიხედვით

	20.11.2008 ⁷	01.01.2014	31.12.2017
უზრუნველყოფილი კრედიტორი ⁸	89,580,082	82,391,991	62,218,724
სხვა კრედიტორები	28,778,911	27,427,355	28,933,643
სულ:	118,358,993	109,819,346	91,152,367

ცხრილი N2: ინფორმაცია რეაბილიტირებული ვალდებულებების დაფარვის დაგეგმილი და ფაქტობრივი მონაცემების შესახებ

წელი	უზრუნველყოფილი კრედიტორის დავალიანების დაფარვა		არაუზრუნველყოფილი კრედიტორების დავალიანების დაფარვა	
	გეგმა	ფაქტი	გეგმა	ფაქტი
2014	5,000,000	5,492,011	0	0
2015	5,000,000	5,809,391	0	0
2016	7,000,000	7,005,421	0	0
2017	10,000,000	10,260,702	0	0
სულ:	27,000,000	28,567,525	0	0

ცხრილი N3: ელექტროსისტემის ფინანსური შედეგები 2014-2017 წლებში (აუდიტირებული⁹)

კატეგორია	2014	2015	2016	2017	სულ
შემოსავლები					
დისპეტჩერიზაცია	13,614,835	10,504,528	9,465,536	8,658,541	42,243,440
გადაცემა 6/10კვ	8,463,026	2,156,077	-	-	10,619,103
გადაცემა 35/110/220კვ	36,351,451	56,554,573	63,823,093	82,060,012	238,789,129
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი ¹⁰	4,534,934	11,045,569	18,830,695	15,302,979	49,714,176
სულ შემოსავლები:	62,964,246	80,260,747	92,119,323	106,021,532	341,365,849
ხარჯები					
საოპერაციო ხარჯები	(16,366,934)	(17,517,401)	(19,739,530)	(21,142,794)	(74,766,660)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(21,174,940)	(54,162,996) ¹¹	(74,659,731)	(50,191,612)	(200,189,279)
ცვეთა-ამორტიზაცია	(29,326,829)	(28,499,377)	(29,947,518)	(34,228,600)	(122,002,324)
კრედიტებზე დარიცხული პროცენტები	(3,902,691)	(4,381,009)	(4,393,381)	(5,380,270)	(18,057,351)
მოგების გადასახადი	3,739,966	3,072,867	(9,871,944)	-	(3,059,112)
სულ ხარჯები:	(67,031,429)	(101,487,916)	(138,612,105)	(110,943,276)	(418,074,725)
ფინანსური შედეგი	(4,067,182)	(21,227,169)	(46,492,781)	(4,921,744)	(76,708,876)

⁷ რეაბილიტაციის პროცესის დასაწყისი.

⁸ ერთადერთი უზრუნველყოფილი კრედიტორია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

⁹ შპს KPMG Georgia

¹⁰ დარიცხული ჯარიმები და საურავები, ანაბრებზე დარიცხული პროცენტები და ა.შ.

¹¹ 2015 და 2016 წლებში მნიშვნელოვანი ზრდა წინა წელთან შედარებით ძირითადად გამოწვეულია კურსთა შორის სხვაობით, დეტალური ინფორმაცია მოცემულია დანართ N2-ში.

აუდიტის მიგნებები

1. რეაბილიტაციის მმართველთან გაფორმებული ხელშეკრულების ნაკლოვანებები

1.1. რეაბილიტაციის მმართველის პასუხისმგებლობების არასათანადოდ განსაზღვრა

გადახდისუუნარობის კანონის თანახმად,¹² რეაბილიტაციის მმართველსა და კრედიტორებს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც ასახული უნდა იყოს რეაბილიტაციის მმართველის პასუხისმგებლობის საკითხები.

ფინანსთა სამინისტროსა და რეაბილიტაციის მმართველს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში არ იყო მკაფიოდ ჩამოყალიბებული მმართველის პასუხისმგებლობები და ამასთან დაკავშირებით მითითება ისევ გადახდისუუნარობის კანონსა და რეაბილიტაციის გეგმაზე იყო გაკეთებული. აღსანიშნავია, რომ არც რეაბილიტაციის გეგმა მოიცავს მმართველის დეტალურად გაწერილ პასუხისმგებლობებს.

1.2. რეაბილიტაციის მმართველის შრომის ანაზღაურების დაუსაბუთებელი ზრდა

რეაბილიტაციის მმართველსა და ფინანსთა სამინისტროს შორის 2008 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით, რეაბილიტაციის მმართველის შრომის ანაზღაურება, სამემოსავლო გადასახადის ჩათვლით, შეადგენდა თვეში 10,312 ლარს, ხოლო ყოველ მომდევნო წელს გათვალისწინებული იყო წინა წელს არსებული ხელფასის უპირობო 10%-იანი ზრდა.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეაბილიტაციის მმართველის ყოველთვიური ხელფასი შეადგენდა 24,316 ლარს. რეაბილიტაციის მმართველის შრომის ანაზღაურების ყოველწლიურად 10%-ით ზრდა უპირობოა და არ ეფუძნება გონივრულ კრიტერიუმს. ხელფასი იზრდება კომპანიის ფინანსური შედეგების და რეაბილიტაციის მმართველის საქმიანობის შეფასების გარეშე.

დასკვნა

რეაბილიტაციის მმართველსა და ფინანსთა სამინისტროს შორის გაფორმებული ხელშეკრულება არ შეესაბამება გადახდისუუნარობის კანონს, ვინაიდან მასში მკაფიოდ არ არის განსაზღვრული რეაბილიტაციის მმართველის პასუხისმგებლობის საკითხები.

ასევე რეაბილიტაციის მმართველის შრომის ანაზღაურების ზრდის პრაქტიკა ხასიათდება ნაკლოვანებით, რადგან გათვალისწინებულია ყოველწლიურად უპირობოდ 10%-იანი ზრდა, რაც არ ეფუძნება გონივრულ კრიტერიუმებს. მსგავსი პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს შედეგზე ორიენტირებულ მმართველობას.

რეკომენდაცია N1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაზე“ ზედამხედველობის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, რეაბილიტაციის მმართველთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მკაფიოდ განისაზღვროს მმართველის პასუხისმგებლობის საკითხები და მისი შრომის ანაზღაურების განსაზღვრის გონივრული კრიტერიუმები.

¹² გადახდისუუნარობის კანონის 44-ე მუხლის მე-4 პუნქტი

2. რეაბილიტაციის გეგმასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

რეაბილიტაციის გეგმა დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, როგორც ერთადერთი უზრუნველყოფილი კრედიტორის მიერ და მოიცავს 2008 წლის 20 ნოემბრიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს. ის ეხება ელექტროსისტემის საქმიანობის უმთავრეს მიმართულებებს და მოიცავს იმ ძირითად ღონისძიებებს, რომლებიც უნდა უზრუნველყოფდნენ ტექნიკურ და ფინანსურ რეაბილიტაციას და ორგანიზაციულ სრულყოფას. რეაბილიტაციის გეგმაში ასახული ამოცანებიდან და ძირითადი ღონისძიებებიდან უნდა გამომდინარეობდეს ელექტროსისტემის მიერ შემუშავებული და დანერგილი კონკრეტული გეგმები, პროექტები, ბიუჯეტები და პროგრამები.

2.1. რეაბილიტაციის გეგმაში ვალდებულებების ასახვის ნაკლოვანებები

გადახდის უუნარობის კანონის შესაბამისად, რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფი კომპანიის ვალდებულებები დადასტურებული უნდა იყოს სასამართლოს მიერ.¹³

რეაბილიტაციის გეგმაში¹⁴ ასახული 10,819,341 ლარის არამიმდინარე ვალდებულებების სასამართლო წესით შემოწმება და კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით აღიარება ვერ დასტურდება. აღნიშნული თანხიდან, ელექტროსისტემას 2014-2017 წლებში 21 კრედიტორზე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე უკვე გადახდილი აქვს ძველი სახელფასო დავალიანება 15,684 ლარი.

ამასთანავე, რეაბილიტაციის გეგმაში¹⁵ წარმოდგენილია ისეთი კრედიტორი კომპანიებიც, რომლებიც მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ იძებნებიან.¹⁶ ასევე გეგმაში მოცემული კრედიტორების ნაწილი ლიკვიდირებულია.¹⁷ აღნიშნული კრედიტორების ნაწილზე¹⁸ ელექტროსისტემამ ვერ წარმოადგინა ინფორმაცია მათი უფლებამონაცვლე სუბიექტების შესახებ.

დასკვნა

ელექტროსისტემამ 15,684 ლარი გადაიხადა კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე. ამასთანავე, რეაბილიტაციის გეგმაში¹⁹ შეტანილია ლიკვიდირებული და არაიდენტიფიცირებადი კრედიტორები და შესაბამისად, კრედიტორული დავალიანებები არ არის ზუსტი. აქედან გამომდინარე, არსებობს რისკი, რომ ფულადი სახსრები აუნაზღაურდეთ ისეთ სუბიექტებს, რომელთა მიმართ დავალიანების არსებობა არ არის შემოწმებული სასამართლო წესით და რომლებიც რეალურად შესაძლოა არ წარმოადგენენ ელექტროსისტემის კრედიტორებს.

¹³ 29-ე მუხლი.

¹⁴ 2014 წლისთვის მოქმედი რედაქციით.

¹⁵ რეაბილიტაციის გეგმის 2014 - 2017 წლებში მოქმედი რედაქციის დანართი N5.

¹⁶ მაგალითად: სასწავლო ცენტრი 2000 _ 23,760 ლარი, ხელვაჩაურის გარე დაცვა (აჭარის ფილიალი) _ 18,558 ლარი, სამტრედიის დაცვის პოლიცია _ 11,550 ლარი.

¹⁷ მაგალითად: ქუთაისის სადისტრიბუციო კომპანია (ქელასი) 5,193,346 ლარი.

¹⁸ მაგალითად: სს „ენერგია XXI“ (რიონჰესი) _ 33,250 ლარი; იბერკომპანი ჰოლდინგი _ 13,504 ლარი; გაერთ. სადისტრ. კომპანია ელ. ენერგია (ენერგია XXI) _ 122,799 ლარი; საქ. გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია /ელ.ენ/ („ენერგია XXI“) - 36,422 ლარი.

¹⁹ 2014-2017 წლებში მოქმედი რედაქციით.

რეკომენდაცია N2. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“

ფულადი სახსრების სამართლებრივი საფუძვლით განკარგვის მიზნით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ უზრუნველყოს რეაბილიტაციის გეგმაში ასახული ვალდებულებების დაზუსტება და გეგმაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის ინიცირება.

2.2. რეაბილიტაციის გეგმაში ხარჯების დაუსაბუთებელი ზრდა

რეაბილიტაციის გეგმაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია, თუ კრედიტორები მიიჩნევენ, რომ გეგმის მთლიანად ან ნაწილობრივ განხორციელება შეუძლებელია ცვლილების შეტანის გარეშე.²⁰ ცვლილებებს ამზადებს და დასამტკიცებლად წარადგენს რეაბილიტაციის მმართველი, ხოლო ამტკიცებს უზრუნველყოფილი კრედიტორი.

2014-2017 წლებში რეაბილიტაციის გეგმა შეიცვალა სამჯერ, რის შედეგადაც ხარჯების მუხლი გაზრდილია ჯამში²¹ 45,843,643 ლარით, საიდანაც 21,238,877 ლარის ზრდა (46%) დაუსაბუთებელია. მაგალითად, N26 ცვლილებით, 2016 წლის ხარჯების ზრდის აუცილებლობისა და მიზნობრიობის შესახებ ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი.²²

დასკვნა

რეაბილიტაციის გეგმაში ცვლილების აუცილებლობას ფინანსთა სამინისტრო ხშირ შემთხვევებში სათანადოდ არ აანალიზებს. შესაბამისად, შესაძლებელია გეგმაში შევიდეს ისეთი ცვლილებები, რომლებიც რეალურად აუცილებელი არ არის რეაბილიტაციის მიზნების მისაღწევად.

რეკომენდაცია N3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ რეაბილიტაციის გეგმის ცვლილების პროცესში უზრუნველყოფილი კრედიტორისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების სრულყოფილად და ეფექტიანად განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, ელექტროსისტემის მიერ მომზადებული პროექტის განხილვა-შეთანხმების პროცესში, გააანალიზოს მისი დასაბუთებულობა, აუცილებლობა და რეაბილიტაციის გეგმის ცვლილების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღოს მისი, როგორც ერთდერთი უზრუნველყოფილი კრედიტორის ინტერესების გათვალისწინებით.

2.3. გეგმასთან შეუსაბამოდ გაწეული ხარჯები და ფინანსთა სამინისტროს მიერ არასათანადო კონტროლი

რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფი კომპანიის საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს კრედიტორის მიერ დამტკიცებულ რეაბილიტაციის გეგმას. ელექტროსისტემამ ხარჯები უნდა გასწიოს ფინანსთა სამინისტროს მიერ რეაბილიტაციის გეგმით დამტკიცებული კატეგორიების და მოცულობების შესაბამისად, ხოლო კონკრეტულ მუხლში გადახარჯვის აუცილებლობის შემთხვევაში, საჭიროა ფაქტობრივ გადახარჯვამდე გეგმის ცვლილება, რაზეც აუცილებელია ფინანსთა სამინისტროს თანხმობა²³.

²⁰ გადახდისუუნარობის კანონის 51-ე მუხლი, 1-ლი პუნქტი.

²¹ მხოლოდ გაზრდილი მუხლების ჯამი.

²² მაგალითად: „საერთაშორისო მივლინების“ მუხლი გაზრდილია 1,199,952 ლარით. სხვა დაუსაბუთებლად გაზრდილი ხარჯების ჩამონათვალი იხ. დანართ 1-ში.

²³ გადახდისუუნარობის კანონის 51-ე მუხლი, 2-ე პუნქტი; 50-ე მუხლი, 1-ლი პუნქტი.

კომპანიის მიერ რიგ მუხლებში გაწეული ფაქტობრივი ხარჯები აღემატება კრედიტორთან შეთანხმებულ ზღვრულ მოცულობებს. ელექტროსისტემაში დანერგილი პრაქტიკით, სამეურნეო წლის დასრულების შემდეგ გეგმა კორექტირდება, რის შედეგადაც ხდება გეგმური მაჩვენებლების ფაქტობრივთან შესაბამისობაში მოყვანა. აქედან გამომდინარე, ელექტროსისტემის მიერ ფაქტობრივად გაწეული ხარჯვითი ოპერაციები არ ხორციელდება წინასწარ დამტკიცებული რეაბილიტაციის გეგმის მიხედვით. კომპანია ზემოთ აღნიშნულ ფაქტობრივ მუხლობრივ გადახარჯვებს ხსნის სხვა მუხლებში გაწეული ეკონომიებით, რომელსაც იგი ახორციელებს რეაბილიტაციის გეგმის 7³ და მე-10 პუნქტების საფუძველზე, თუმცა, კომპანიის მხრიდან რეაბილიტაციის გეგმის ცვლილებებით და თანდართული აღწერა-მოტივაციით არ არის დასაბუთებული ფაქტობრივი გადახარჯვის მიზეზები და საჭიროების აუცილებლობა, რაც რეაბილიტაციის გეგმის ზემოთ აღნიშნული პუნქტებით სარგებლობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

დასკვნა

სათანადო საჭიროების დასაბუთების გარეშე, ხარჯების ზღვრული მოცულობების შეუზღუდავად გადამეტება ან თვითნებური გადანაწილება აზრს უკარგავს რეაბილიტაციის გეგმით გათვალისწინებული ხარჯების კატეგორიზაციას, რადგან, კონკრეტული მიზნობრივობით დაგეგმილი და უზრუნველყოფილ კრედიტორთან შეთანხმებული თანხები რეალურად ხმარდება განსხვავებული ეკონომიკური შინაარსის ხარჯვით ოპერაციებს.²⁴ ამასთანავე, ვინაიდან კრედიტორის ინფორმირება საანგარიშო პერიოდში ხარჯების მოცულობების გადახარჯვის შესახებ ხორციელდება ხარჯების ფაქტობრივად გაწევის შემდგომ, რეაბილიტაციის გეგმის ცვლილების პროცესში ფინანსთა სამინისტროს, როგორც უზრუნველყოფილი კრედიტორის მონაწილეობა ფორმალური ხასიათის არის.

რეკომენდაცია N4. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“

რეაბილიტაციის გეგმასთან შესაბამისობის მიზნით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ იმავე გეგმით დამტკიცებული ზღვრული მოცულობების ზემოთ ხარჯები გასწიოს მხოლოდ უზრუნველყოფილ კრედიტორთან დასაბუთებული წინასწარი შეთანხმებისა და შესაბამის მუხლებში გათვალისწინებული მოცულობების გაზრდის შემდგომ.

2.4. უზრუნველყოფილ კრედიტორთან შეუთანხმებელი არასათანადოდ კლასიფიცირებული ხარჯები

ელექტროსისტემის რეაბილიტაციის გეგმა მოიცავს „სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯების“ მუხლს, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს ისეთ დანახარჯებს, რომელთა გაწევის საჭიროება ელექტროსისტემისთვის დაგეგმვის ეტაპზე უცნობია და შესაბამისად, ვერ იქნება კლასიფიცირებული რეაბილიტაციის გეგმით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამგვარი ხარჯების წინასწარი დასაბუთება და უზრუნველყოფილ კრედიტორთან შეთანხმება არ მოითხოვება.

2014-2017 წლებში ელექტროსისტემის მხრიდან „სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯების“ მუხლიდან დაფინანსებულია ისეთი ყოველთვიური ხარჯები, რომლებიც ელექტროსისტემისთვის დაგეგმვის

²⁴ მაგალითად, ეკონომიები ისეთ მუხლებში, როგორიცაა: კრედიტზე დარიცხული გადასახდელები – 8,932,779 ლარი; ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა – 4,480,009 ლარი, მატერიალური ხარჯები და მიმდინარე სარემონტო სამუშაოები – 4,464,152 ლარი, საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები – 10,174,469 ლარი, არ არის გეგმის ზემოთ ხარჯების გაწევის გამამართლებელი არგუმენტი ისეთ მუხლებში, როგორიცაა: სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები – 23,106,766 (საკურსო ზარალის – 82,749,690 ლარის გაუთვალისწინებლად), წარმომადგენლობითი ხარჯები – 757,576 ლარი და საერთაშორისო მივლინება – 419,077 ლარი.

ეტაპზე იყო ცნობილი. მიუხედავად ამისა, მსგავსი ხარჯები მაინც „სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯების“ კატეგორიიდან იქნა გაწეული.

ცხრილი N4: ინფორმაცია „სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯების“ მუხლიდან გაწეული იმ ხარჯების შესახებ, რომელთა გათვალისწინებაც შესაძლებელი იყო დაგეგმვის ეტაპზე

	2014	2015	2016	2017	სულ
იჯარით აღებული არხები და კანალიზაცია	86,779	59,190	59,970	62,593	268,533
ქონების დაზღვევა	36,720	57,074	76,005	75,657	245,456
საოფისე ფართის დაქირავების ხარჯი	-	-	20,127	68,645	88,772
საინფორმაციო ტექნოლოგიების იჯარა	3,237	71,268	177,251	233,386	485,142
საკანცელარიო პროგრამის ინსტალაცია-მომსახურება	48,486	42,365	25,614	26,799	143,265
ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის მომსახურება	-	-	14,830	17,796	32,626
სახელმწიფო ხაზინა-მომსახურების ხარჯი	8,700	16,925	20,925	20,750	67,300
სადაზღვევო მომსახურება (ჯამრთელობის დაზღვევა)	229,555	211,429	234,268	316,649	991,900
საწარმოო ტრავმის პენსია	25,891	22,524	19,820	20,059	88,293
სულ:	439,369	480,775	648,811	842,333	2,411,287

2014–2017 წლებში „სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯების“ მუხლით არის ასევე დაფინანსებული ელექტროსისტემის მიერ 1,461,633 ლარის საკონსულტაციო მომსახურებების შესყიდვის ხარჯები, მიუხედავად იმისა, რომ რეაბილიტაციის გეგმა მოიცავს საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების კატეგორიას.

დასკვნა

ელექტროსისტემის მიერ ხარჯების არასწორი კლასიფიკაციის გამო (როგორც დაგეგმვის, ისე ფაქტობრივი ხარჯვის შემთხვევაში), უზრუნველყოფილი კრედიტორი მოკლებული იყო მოცემული ხარჯების მიზნობრიობის განხილვისა და შეფასების შესაძლებლობას, რაც ელექტროსისტემას კრედიტორთან შეუთანხმებელი ხარჯების გაწევის საშუალებას აძლევდა.

რეკომენდაცია N5. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“

ფინანსთა სამინისტროს მიერ ელექტროსისტემის ხარჯების მიზნობრიობის კონტროლისათვის, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ უზრუნველყოს დაგეგმვის ეტაპზე ცნობილი დანახარჯების შესაბამის მუხლებად კლასიფიცირება და უზრუნველყოფილ კრედიტორთან ზღვრული მოცულობების შეთანხმება.

3. კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება

გადახდისუნარიობის კანონის შესაბამისად,²⁵ რეაბილიტაციის გეგმა უნდა მოიცავდეს ელექტროსისტემის, როგორც მოვალის ფინანსური სიმძნელების გადაჭრასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხს, იმის გათვალისწინებით, რომ მისი განხორციელების შემთხვევაში, დაიძლევა გადახდისუნარიობა. ამავ კანონის მიხედვით²⁶, მომრიგებელი საბჭოს²⁷ მიერ განხილულ და მოწონებულ რეაბილიტაციის გეგმას ამტკიცებენ უზრუნველყოფილი კრედიტორები. რეაბილიტაციის გეგმის შესაბამისად კი, ელექტროსისტემის მიმდინარე ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის ერთ-ერთი მიზანია ზოგადი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება, ერთი მხრივ დებიტორული დავალიანებების მაქსიმალურად დაფარვით და, მეორე მხრივ, საოპერაციო დანახარჯების ოპტიმიზაციით.

ფაქტობრივად, კომპანიის ფინანსური მდგომარეობა 2014-2017 წლებში გაუარესებულია, რაზეც მეტყველებს სხვადასხვა ფინანსური მაჩვენებლებიც, კერძოდ:

1. მიმდინარე აქტივების თანაფარდობა მიმდინარე ვალდებულებებთან (Current Ratio) 2014 წლის დასაწყისიდან 2017 წლის ბოლომდე შემცირებულია 1.39-დან 0.96-მდე, ამდენად, 2017 წლის ბოლოსათვის ელექტროსისტემის მიმდინარე აქტივების ღირებულება სრულად ვერ უზრუნველყოფს მისი მიმდინარე ვალდებულების დაფარვას.
2. ელექტროსისტემის ვალდებულებების წილი მთლიან აქტივებში (Total Debt to Total Assets) 2014 წლის დასაწყისიდან 2017 წლის ბოლომდე გაზრდილია 40%-დან 67%-მდე, რაც იმას ნიშნავს, რომ კომპანიის მთლიან აქტივებში ვალდებულებების წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა (ინფორმაცია მთლიანი აქტივების და ვალდებულებების ცვლილების შესახებ წარმოდგენილია N5 ცხრილში).

შესაბამისად, ელექტროსისტემა, ყოველწლიურად კრედიტორების წინაშე არსებული დავალიანებების შემცირების ნაცვლად, მეტად იტვირთება ვალდებულებებით.

ცხრილი N5: აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება 2014 - 2017 წლებში

	2013	2014	2015	2016	2017
მიმდინარე აქტივები	25,763,130	54,563,380	62,771,259	68,039,974	81,083,156
გრძელვადიანი აქტივები	413,735,798	467,013,136	559,031,690	715,539,396	817,789,324
სულ აქტივები	439,498,928	521,576,516	621,802,949	783,579,370	898,872,480
მიმდინარე ვალდებულებები	18,537,888	36,228,268	47,540,045	65,102,957	84,556,300
გრძელვადიანი ვალდებულებები	156,023,295	188,013,178	291,643,658	451,787,971	513,473,911
სულ ვალდებულებები	174,561,183	224,241,446	339,183,702	516,890,928	598,030,211
მიმდინარე აქტივების თანაფარდობა მიმდინარე ვალდებულებებთან (current ratio)	1.39	1.51	1.32	1.05	0.96
გრძელვადიანი ვალდებულებების %-ული მონაწილეობა გრძელვადიან აქტივებში (Debt to Assets ratio)	38%	40%	52%	63%	63%
მთლიანი ვალდებულებების %-ული მონაწილეობა მთლიან აქტივებში	40	43	55	66	67

²⁵ გადახდისუნარიობის კანონის 46-ე მუხლის მე-3 პუნქტი

²⁶ გადახდისუნარიობის კანონის 47-ე მუხლის 1-ლი პუნქტი

²⁷ მომრიგებელი საბჭო არის კოლეგიური ორგანო, რომელიც იქმნება პარიტეტულ საწყისებზე და არსებითად აფასებს და წყვეტს მოვალის გადახდისუნარიობის საკითხს. მოვალის რეაბილიტაციის შემთხვევაში, მომრიგებელი საბჭო ასევე განიხილავს რეაბილიტაციის გეგმას. გადახდისუნარიობის შესახებ კანონის 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

დასკვნა

ელექტროსისტემის აქტივებში ვალდებულებების წილის ზრდის ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში, სახელმწიფოს მხრიდან დამატებითი სუბსიდირების გარეშე, საეჭვო იქნება რეაბილიტაციის ერთ-ერთი უმთავრესი მიზნის მიღწევა – ელექტროსისტემის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება. აღსანიშნავია, რომ კომპანიის მენეჯმენტმა 2014-2017 წლებში ვერ უზრუნველყო აღნიშნული მიზნის მიღწევისთვის რეაბილიტაციის გეგმით განსაზღვრული ისეთი მნიშვნელოვანი ქმედებების განხორციელება, როგორიცაა ხარჯების ოპტიმიზაცია და დებიტორული დავალიანებების ეფექტიანი მართვა (იხ. წინამდებარე აუდიტის ანგარიშის მე-7 თავი – „საეჭვო მოთხოვნების ხარჯები“).

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ელექტროსისტემის ძირითად კრედიტორს წარმოადგენს სახელმწიფო, რომლის მიმართ ვალდებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნახევარ მილიარდ ლარზე მეტს შეადგენდა (521,117,937 ლარი)²⁸.

კომპანიის განმარტებით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ 2017 წლის ბოლოს დადგენილი ელექტროსისტემის შემოსავლების გაანგარიშების გაზრდილი ტარიფების²⁹ საფუძველზე, ელექტროსისტემა რეაბილიტაციის დარჩენილი პერიოდში - 2018 - 2023 წლებში გეგმავს საოპერაციო შემოსავლების მნიშვნელოვან ზრდას და წმინდა ფინანსური შედეგების არსებით გაუმჯობესებას³⁰.

4. ხელფასები და პრემიები

ქვემოთ მოცემულია ელექტროსისტემის თანამშრომელთა ხელფასების და პრემიების შესახებ ინფორმაცია:

ცხრილი N6: ინფორმაცია 2014-2017 წლებში³¹ ხელფასების და პრემიების შესახებ

ხელფასი	2014		2015		2016		2017		სულ
	რაოდ.	თანხა	რაოდ.	თანხა	რაოდ.	თანხა	რაოდ.	თანხა	
რეაბ./მართველი	1	204,342	1	224,727	1	223,101	1	252,481	904,651
მმართვე. საბჭოს წევრი	6	589,257	6	589,140	6	589,302	6	589,367	2,357,066
დანარჩენი	1205	15,918,691	1274	17,608,758	1348	19,531,915	1367	20,362,339	73,421,703
სულ		16,712,290		18,422,625		20,344,318		21,204,187	76,683,420
პრემია									
ერთდროული ³²		2,674,450		2,981,254		3,299,349		3,229,037	12,184,090
ინდივიდუალური		25,020		39,025		81,060		289,902	435,007
სულ		2,699,470		3,020,279		3,380,409		3,518,939	12,619,097

²⁸ მათ შორის სასესხო ვალდებულებები - 439,762,114 ლარი

²⁹ გადაცემა დისპეტჩერიზაცია

³⁰ 2018 წლის ფინანსური შედეგი KPMG-ის დასკვნის მიხედვით 46,743 ათას ლარს შეადგენს.

³¹ ვინაიდან ცხრილში წარმოდგენილია მთლიანი სახელფასო განაცემები, ხოლო ანგარიშის N2 დანართში წარმოდგენილია ფაქტობრივად აღიარებული სახელფასო ხარჯები (გარდა კაპიტალიზირებულისა), აღნიშნული მონაცემები ვერ იქნება ურთიერთშესაბამისი; დანარჩენ პერსონალზე ინფორმაცია წარმოდგენილია საშუალო წლიური რიცხოვნობის შესაბამისად.

³² საყოველთაო პრემია. პრემია რომელიც ერთდროულად გაიცემა ყველა თანამშრომელზე.

4.1. გაუმჭირვალე სახელფასო პოლიტიკა

რეაბილიტაციის გეგმის³³ თანახმად, თითოეული თანამშრომლისათვის უნდა იყოს განსაზღვრული თანამდებობრივი ვალდებულებები და შესაბამისი შრომის ანაზღაურება.

ასევე, შრომის სამართლიანი ანაზღაურების უზრუნველსაყოფად, ორგანიზაციაში უნდა არსებობდეს თანაბარი შრომის თანაბარი ანაზღაურების წინასწარ დადგენილი სისტემა. შესაბამისად, თითოეული პოზიციისთვის უნდა არსებობდეს წინასწარ დადგენილი სამუშაო აღწერილობა, კვალიფიკაციის და გამოცდილების მინიმალური მოთხოვნები. ასევე, უნდა ხდებოდეს აღნიშნულ მოთხოვნებთან თანამშრომელთა შესაბამისობის პერიოდული შეფასება და ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღება, როგორც შრომის ანაზღაურების პოლიტიკის, ისე კარიერული თვალსაზრისით.

ელექტროსისტემაში დამტკიცებული შრომის ანაზღაურების მოცულობები კონკრეტული თანამდებობის მიხედვით, განსაზღვრული არ არის.

ამასთანავე, ელექტროსისტემის ერთსა და იმავე სტრუქტურულ ერთეულში, იდენტურ პოზიციებზე დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურებებს შორის სხვაობა ზოგიერთ შემთხვევაში 100%-ს აჭარბებს.

დასკვნა

ელექტროსისტემა უგულებელყოფს რეაბილიტაციის გეგმის მოთხოვნას თითოეული თანამდებობის მიხედვით შრომის ანაზღაურების განსაზღვრის თაობაზე. იქიდან გამომდინარე, რომ იდენტური სამსახურებრივი ვალდებულებების და მოთხოვნების შემთხვევაში კომპანიას არ გააჩნია წინასწარ განსაზღვრული, კომპეტენციების მიხედვით დიფერენცირებული შრომის ანაზღაურების სისტემა. იდენტურ პოზიციებზე დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურებებს შორის სხვაობა ზოგიერთ შემთხვევაში 100%-ს აჭარბებს. არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს სახელფასო პოლიტიკის გამჭვირვალობას და ქმნის შრომის არასამართლიანი ანაზღაურების შესაძლებლობას.

რეკომენდაცია N6. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“

გამჭვირვალე და სამართლიანი შრომის ანაზღაურების პოლიტიკის უზრუნველსაყოფად, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ განსაზღვროს კომპანიის მიზნების და ამოცანების შესაბამისი პოზიციები და შეიმუშაოს თითოეულის შესაბამისი შრომის ანაზღაურების მოცულობის დადგენის ობიექტური და დასაბუთებული კრიტერიუმები.

4.2. სახელფასო და საპრემიო ფონდების ათვისება რეაბილიტაციის გეგმის შეუსაბამოდ

ელექტროსისტემის ყოველწლიური სახელფასო და საპრემიო ფონდი განსაზღვრულია რეაბილიტაციის გეგმით, რომლის მიხედვით, ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასის და პრემიის ხარჯები განსაზღვრულია ცალ-ცალკე და მათი ათვისება უნდა განხორციელდეს შესაბამის თანამდებობებზე დასაქმებული პერსონალის მიხედვით.

ვინაიდან, ორგანიზაციის მენეჯმენტს არ აქვს განსაზღვრული ტექნიკური და ადმინისტრაციული თანამდებობები, ზემოაღნიშნული მოთხოვნა შესრულებული არ არის. ფონდების ათვისების შიდა

³³ 5.2 პუნქტი.

აღრიცხვა ფორმალურია და რეაბილიტაციის გეგმასთან შესაბამისობის მიზანს უფრო ემსახურება, ვიდრე სახელფასო და საპრემიო ხარჯების წინასწარ დაგეგმვას და გეგმის შესაბამისად განკარგვას.

მაგალითად, 2016 წლის მარტიდან 45 დასაქმებულზე დარიცხული შრომის ანაზღაურება, რომელიც მანამდე ფინანსდებოდა ადმინისტრაციული სახელფასო და საპრემიო ფონდიდან, სამსახურებრივი ქვედანაყოფებისა და თანამდებობების შეუცვლელად დაფინანსდა ტექნიკური პერსონალის სახელფასო და საპრემიო ფონდიდან. აღნიშნულმა თანხამ 2016 წლის მარტიდან 2017 წლის დეკემბრის ჩათვლით ხელფასის ნაწილში შეადგინა 1,553,105 ლარი, ხოლო პრემიის ნაწილში - 268,351 ლარი.

დასკვნა

რეაბილიტაციის გეგმით, სახელფასო და საპრემიო ფონდების ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის ცალ-ცალკე განსაზღვრა ფაქტობრივად ფორმალურია. რეაბილიტაციის გეგმის ზემოაღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა ელექტროსისტემას შესაძლებლობას აძლევს სახელფასო და საპრემიო ფონდების ყოველწლიური ზრდა მხოლოდ დასაქმებულთა გარკვეულ ნაწილზე გაავრცელოს, როგორც ხელფასების მატების, ისე პრემირების შემთხვევაში.

რეკომენდაცია N7. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“

რეაბილიტაციის გეგმასთან შესაბამისობის, სახელფასო/საპრემიო ფონდების ეფექტიანად დაგეგმვის და სამართლიანად განკარგვის მიზნით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ უზრუნველყოს კომპანიაში არსებული თანამდებობების ტექნიკურ და ადმინისტრაციულ კატეგორიებად კლასიფიცირება და შესაბამისი სახელფასო და საპრემიო ფონდების რეაბილიტაციის გეგმის შესაბამისად განკარგვა.

4.3. სახელფასო და საპრემიო ფონდების რეაბილიტაციის გეგმის შეუსაბამოდ ზრდა

რეაბილიტაციის გეგმა ითვალისწინებს ელექტროსისტემის სახელფასო ფონდის ყოველწლიურ ზრდას წინა წლის სახელფასო ფონდის მოცულობის 10%-მდე ოდენობით, რაც უნდა განისაზღვრებოდეს კომპანიის შესატყვისი წლის ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილის პროპორციული ზრდით.

2015 და 2016 წლებში ელექტროსისტემის დაგეგმილი შემოსავლების პროცენტული ზრდა წინა წლის გეგმასთან შედარებით შეადგენს, შესაბამისად, 6.92% და 9.22%-ს, ხოლო სახელფასო ფონდის ზრდა - 13.42% და 10.60%-ს. აქედან გამომდინარე, უზრუნველყოფილი კრედიტორის გადაწყვეტილება სახელფასო ფონდის მოცულობის განსაზღვრასთან დაკავშირებით არ შეესაბამება მისივე დამტკიცებულ რეაბილიტაციის გეგმის მოთხოვნას. ანალოგიურად, შეუსაბამოდაა განსაზღვრული საპრემიო ფონდებიც, ვინაიდან საპრემიო ფონდების ყოველწლიური მოცულობა განისაზღვრება, შესაბამისი წლის სახელფასო ფონდების ორი თვის მოცულობით (მეექვსედი).

დასკვნა

იმ შემთხვევაში თუ ელექტროსისტემა სახელფასო და საპრემიო ფონდებს გაზრდიდა რეაბილიტაციის გეგმის მოთხოვნის შესაბამისად, 2015-2016 წლებში ჯამურად სახელფასო ფონდი განისაზღვრებოდა 2,456,635 ლარით, ხოლო საპრემიო ფონდი - 409,439 ლარით ნაკლები ოდენობით. გარდა ამისა, რეაბილიტაციის გეგმით დადგენილი ხელფასის და პრემიის ფონდის ყოველწლიური ზრდის ზემოაღნიშნული წესი ხასიათდება ნაკლოვანებით, რადგან აღნიშნული ფონდების ზრდა დამოკიდებულია მხოლოდ შემოსავლებზე და არ ითვალისწინებს სხვა გონივრულ კრიტერიუმებს.

4.4. კომპანიის შინაგანაწესთან შესაბამისად გაცემული პრემიები

ელექტროსისტემაში დასაქმებული თანამშრომლების პრემირების საკითხი დარეგულირებულია შინაგანაწესით,³⁴ რომლის თანახმად, პრემირება ხორციელდება როგორც „ერთდროულად“ ყველა თანამშრომელზე,³⁵ ასევე „ინდივიდუალურად“. ამასთანავე, ერთდროული პრემირება შესაძლებელია განხორციელდეს წინა წლის ბოლო 6 თვისა და მიმდინარე წლის პირველი 6 თვის ფინანსური შედეგების შესაბამისად (კომპანიის მოგების გათვალისწინებით). ინდივიდუალური პრემირება კი ხორციელდება დასაქმებულის ხელმძღვანელი პირის რეკომენდაციით, პრემირების საფუძვლის მითითებით. განსაკუთრებულ შემთხვევებში, რეაბილიტაციის მმართველი უფლებამოსილია, თანამშრომლის ინდივიდუალური პრემირება განახორციელოს ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციისა და პრემირების საფუძვლის გარეშე.

2014 – 2017 საანგარიშგებო წლები ელექტროსისტემამ დაასრულა ზარალით, რაც ჯამში 76,708,726 ლარს შეადგენს. ასევე, უარყოფითი ფინანსური შედეგებია ოთხივე წლის განმავლობაში, წინა წლის ბოლო 6 თვისა და მიმდინარე წლის პირველი 6 თვის მონაცემების მიხედვითაც. ამრიგად, კომპანიის შინაგანაწესის თანახმად, რომელიც ამავედროულად დასაქმებულთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, არ ჰქონდა ერთდროული პრემიის გაცემის საფუძველი, რამაც 2014 - 2017 წლებში 12,184,091 ლარი შეადგინა.

ცხრილი N7: ინფორმაცია 2014-2017 წლებში გაცემული ერთდროული პრემიების შესახებ ლარებში

	2014	2015	2016	2017	სულ
ერთდროული პრემია	2,674,450	2,981,254	3,299,349	3,229,037	12,184,091

ინდივიდუალური პრემიების იმ ნაწილმა, რაც გაცემულია უშუალოდ რეაბილიტაციის მმართველის გადაწყვეტილებით და რაც, შინაგანაწესის შესაბამისად, უნდა გაცემულიყო განსაკუთრებულ შემთხვევებში, 2014-2017 წლებში შეადგინა 83,909 ლარი. აღნიშნული პრემიების ნაწილი გაიცა ასევე რეაბილიტაციის მმართველზე. განსაკუთრებულ შემთხვევად რეაბილიტაციის მმართველის მიერ მიჩნეულია „თანამშრომლებზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და პროფესიონალურად შესრულება“. აღნიშნული თითოეული თანამშრომლის მოვალეობას წარმოადგენს და რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევას არ უკავშირდება.

დასკვნა

შინაგანაწესით დამტკიცებული პრემირების წესის შესაბამისად, 2014 – 2017 წლებში გაიცა 12,268,000 ლარის პრემია. ამასთანავე, ამავე წესის მიხედვით, რეაბილიტაციის მმართველის უფლება, რეკომენდაციისა და პრემირების საფუძვლის გარეშე განახორციელოს თანამშრომელთა წახალისება, ვერ უზრუნველყოფს მოცემული კატეგორიის საპრემიო ხარჯების დასაბუთებულობას, რაც რეაბილიტაციის მმართველის მიერ დამტკიცებული პრემირების წესის ხარვეზს წარმოადგენს.

³⁴ დანართი N4. - „დებულება დასაქმებულთა მატერიალური წახალისების (პრემირების) შესახებ“ (შრომითი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია)

³⁵ რიგი გამონაკლისების გარდა, როგორიცაა: დასაქმებულის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოება, დასაქმებულის ყოფნა შვებულებაში ორსულობის, მშობიარობის გამო.

4.5. აქციონერთან შეუთანხმებელი მენეჯმენტის პრემიების წესი

საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით,³⁶ სს „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილებას წარმოადგენს შვილობილი კომპანიების მენეჯმენტის ბონუსების ან/და საბონუსე სისტემის დამტკიცება.

ელექტროსისტემაში მოქმედი პრემიების წესი გამოიყენება როგორც რიგითი თანამშრომლების, ასევე მენეჯმენტის მიმართ. ელექტროსისტემის მიერ არ არის წარმოდგენილი აქციონერის გადაწყვეტილება დამტკიცებულ პრემიების წესთან დაკავშირებით.

ცხრილი N8: ინფორმაცია ელექტროსისტემის მიერ 2014-2017 წლებში მენეჯმენტზე გაცემული პრემიების შესახებ

თანამდებობა	2014			2015		
	რიცხოვნობა	თანხა	საშუალოდ	რიცხოვნობა	თანხა	საშუალოდ
რეაბილიტაციის მმართველი	1	20,760	20,760	1	60,798	60,798
მმართველთა საბჭოს წევრი	6	97,510	16,252	6	99,159	16,526
აღმასრულებელი მენეჯერი	5	76,058	15,212	-	-	-
დეპარტამენტის უფროსი	-	-	-	11	153,248	13,932
		194,328			313,205	

თანამდებობა	2016			2017		
	რიცხოვნობა	თანხა	საშუალოდ	რიცხოვნობა	თანხა	საშუალოდ
რეაბილიტაციის მმართველი	1	64,911	64,911	1	75,963	75,963
მმართველთა საბჭოს წევრი	6	124,415	20,736	6	119,962	19,994
აღმასრულებელი მენეჯერი	-	-	-	-	-	-
დეპარტამენტის უფროსი	12	187,560	15,630	13	188,977	14,537
		376,886			384,902	

დასკვნა

ამრიგად, ელექტროსისტემას თავადვე აქვს დარეგულირებული მენეჯმენტის პრემიების საკითხი, რომელიც, კანონმდებლობის შესაბამისად, აქციონერის უფლებამოსილებას მიეკუთვნება. შესაბამისად, მენეჯმენტის პრემირება განხორციელებულია კანონმდებლობის მოთხოვნების დაუცველად. ამასთანავე, უმეტეს შემთხვევებში, პრემიების მოცულობები განსაზღვრულია ელექტროსისტემაში არსებული შეფასების შედეგების მიხედვით, თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ ირკვევა, რეაბილიტაციის მმართველის შემთხვევაში, როგორ ხდება პრემიის მოცულობების დადგენა, რამაც 2014-2017 წლებში ჯამურად 222,432 ლარი შეადგინა.

5. მივლინების ხარჯები

5.1. არამიზანშეწონილი სამივლინებო ხარჯები

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის³⁷ შესაბამისად, ელექტროსისტემის ხელმძღვანელი ვალდებულია მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია კომპანიისთვის.

³⁶ სს „საპარტნიორო ფონდის“ წესდების დამტკიცებისა და კაპიტალის ფორმირების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 2 ივნისის N230 დადგენილების მე-6 მუხლი

³⁷ მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი.

2014-2017 წლებში ელექტროსისტემის მიერ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებებზე გაწეულმა ხარჯმა 1,674,957 ლარი შეადგინა, საიდანაც ფინანსთა მინისტრის მიერ დაწესებული ნორმების ზემოთ გაცემულია 279,837 ლარი.

ელექტროსისტემამ 2014-2017 წლებში შეინარჩუნა სამივლინებო დანამატებთან დაკავშირებული მანამდე არსებული პრაქტიკა და დანამატების გაცემის შესაძლებლობა აისახა ფინანსთა სამინისტროს მიერ შეთანხმებულ რეაბილიტაციის გეგმის N26 ცვლილებაში. რეაბილიტაციის მმართველის და მმართველთა საბჭოს წევრებისთვის სადღეღამისო ნორმის დანამატები შეადგენდა, შესაბამისად, 70% და 50%-ს.

ამასთანავე, სამივლინებო ნორმებს ზემოთ ანაზღაურებული თანხები, საგადასახადო კოდექსის შესაბამისად,³⁸ წარმოადგენს ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალს, რამდენადაც ეს არის დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული „საზღაური ან სარგებელი“. ასეთი ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი და იმგვარი დასაბუთება, რაც გაამართლებდა დადგენილი ნორმის ზემოთ ხარჯების გაწევის აუცილებლობას, ელექტროსისტემაში არ არსებობს.

გარდა ამისა, რეაბილიტაციის მმართველთა საბჭოს თავმჯდომარესა და წევრებისათვის დაიშვა გამონაკლისები - მივლინების დროს საცხოვრებელი ფართის დაქირავებასთან დაკავშირებით. განისაზღვრა, რომ მათი საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯები ანაზღაურდებოდა ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შესაბამისად, რაც იმას ნიშნავს, რომ არანაირი ლიმიტი არ იყო დაწესებული. აღნიშნული კი იძლევა საშუალებას, რომ ხარჯები არაეკონომიურად იქნეს გაწეული.

დასკვნა

კომპანიის 2014-2017 წლის ფინანსური შედეგების გათვალისწინებით (76,708,726 ლარის ოდენობის ზარალი), ფინანსთა მინისტრის მიერ დაწესებული სამივლინებო ნორმების ზემოთ 279,837 ლარის ხარჯების გაწევა არ იყო მიზანშეწონილი. ასევე არ არის მიზანშეწონილი, მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის, მმართველთა საბჭოს წევრებისა და მათი თანმხლები პირებისათვის საზღვარგარეთ მივლინების დროს საცხოვრებელი ფართის ხარჯების ულიმიტოდ გაწევა, რისი შესაძლებლობაც განსაზღვრულია ელექტროსისტემის ბრძანებით.³⁹

5.2. ტრანსპორტის და როუმინგული მომსახურების ხარჯების ნაკლოვანებები

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის⁴⁰ შესაბამისად, ელექტროსისტემის ხელმძღვანელი ვალდებულია მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია კომპანიისთვის.

თანამშრომელთა მივლინების ადგილზე ტრანსპორტის დაქირავების ხარჯები ელექტროსისტემის მიერ მგზავრობის ხარჯად არის აღიარებული და ანაზღაურებული. აღნიშნული ხარჯების ანაზღაურების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ან/და ელექტროსისტემის ბრძანებით დადგენილი სამართლებრივი საფუძველი კომპანიას არ გააჩნია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი კანონმდებლობით სამსახურებრივ მივლინებასთან დაკავშირებული ტრანსპორტის დაქირავების ხარჯების ანაზღაურება გათვალისწინებულია მხოლოდ მაღალი რანგის

³⁸ საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

³⁹ N132, 15.03.2016; მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁴⁰ მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი

თანამდებობის პირებისათვის⁴¹ და მივლინების მიზნებისთვის არ არსებობს მაღალი რანგის თანამდებობის პირებთან ელექტროსისტემის თანამშრომლების გამათანაბრებელი ნორმატიული რეგულაცია.

ასევე ელექტროსისტემა ანაზღაურებს მივლინებაში მყოფი თანამშრომლების კავშირგაბმულობის ხარჯებს საკუთარი ბრძანებით⁴² დადგენილი ლიმიტების შესაბამისად, თუმცა ასეთი ხარჯების გაწევის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

ელექტროსისტემის მიერ მოწოდებული როუმინგული ხარჯების რეესტრის შესაბამისად, 2014-2017 წლებში როუმინგული მომსახურებისათვის ელექტროსისტემის მიერ გაწეული ხარჯი შეადგენს 227,199 ლარს. მათ შორის, მხოლოდ რეაბილიტაციის მმართველის როუმინგული მომსახურებისთვის ელექტროსისტემამ გადაიხადა 156,738 ლარი (69%). აღსანიშნავია, რომ 2014 წლის აგვისტოში, 5 დღეში რეაბილიტაციის მმართველმა ულიმიტო⁴³ როუმინგის მომსახურებაში დახარჯა 29,254 ლარი რაც არაგონივრული ხარჯის მაგალითია.

დასკვნა

ვინაიდან მივლინების მიზნებისთვის არ არსებობს მაღალი რანგის თანამდებობის პირებთან ელექტროსისტემის თანამშრომლების გამათანაბრებელი ნორმატიული რეგულაცია, ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებისას ტრანსპორტის დაქირავებისთვის, ასევე როუმინგული მომსახურებისთვის არაგონივრული ხარჯების გაწევა მიზანშეუწონელია.

6. წარმომადგენლობითი ხარჯები

6.1. წარმომადგენლობითი ხარჯების დაუსაბუთებელი ზრდა

გადახდისუუნარობის კანონის შესაბამისად,⁴⁴ რეაბილიტაციის გეგმაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია თუ კრედიტორები მიიჩნევენ, რომ რეაბილიტაციის გეგმის მთლიანად ან ნაწილობრივ განხორციელება შეუძლებელია და მისი განხორციელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ გეგმაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში.

2014-2017 წლებისთვის დაგეგმილი იყო 203,977 ლარის წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევა. გეგმაში შეტანილი ცვლილებებით წარმომადგენლობითი ხარჯები გაიზარდა 550,727 ლარით და შეადგინა 754,704 ლარი, ხოლო ამავე წლებში ფაქტობრივად დაიხარჯა 1,421,679 ლარი, რაც 666,975 ლარით აღემატება შესაბამის პერიოდებში დაზუსტებულ გეგმურ მონაცემებს.

⁴¹ N231 ბრძანებულების დანართი N1-ის მე-7 პუნქტი.

⁴² ელექტროსისტემის 2014 წლის 21 მარტის N78 ბრძანება „სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში სამსახურებრივი მიზნებისთვის გამოყოფილი მობილური კავშირით სარგებლობის ლიმიტების ზედა ზღვრების განსაზღვრის, აგრეთვე მისი განაწილების წესის დადგენის შესახებ“.

⁴³ რეაბილიტაციის მმართველი ულიმიტო როუმინგული მომსახურებით სარგებლობდა 2014 წლის სექტემბრამდე, ელექტროსისტემის 2014 წლის 19 სექტემბრის N241 ბრძანებით რეაბილიტაციის მმართველის როუმინგული მომსახურების ლიმიტი განისაზღვრა 10 000 ლარის ოდენობით

⁴⁴ გადახდისუუნარობის კანონის 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტი

ცხრილი N9: ინფორმაცია წარმომადგენლობითი ხარჯების დაგეგმილი და ფაქტობრივი მონაცემების შესახებ

	2014 წლის რეაბ. გეგმით	დაზუსტებული	ფაქტი	სხვაობა		
				გეგმა- დაზუსტებული	გეგმა- ფაქტი	დაზუსტებული- ფაქტი
	(1)	(2)	(3)	(1)-(2)	(1)-(3)	(2)-(3)
2014	(47,906)	(47,906)	(106,456)	-	58,550	58,550
2015	(50,309)	(80,300)	(451,911)	29,991	401,602	371,611
2016	(52,007)	(279,098)	(606,513)	227,091	554,506	327,415
2017	(53,755)	(347,400)	(256,799)	293,645	203,044	(90,601)
	(203,977)	(754,704)	(1,421,679)	550,727	1,217,702	666,975

რეაბილიტაციის გეგმის ცვლილებებში არ არის დასაბუთებული წარმომადგენლობითი ხარჯების ზრდის აუცილებლობა. შესაბამისად, არც უზრუნველყოფილი კრედიტორის მიერ შეფასებულა, შეუძლებელი იყო თუ არა ზემოაღნიშნული ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდის გარეშე რეაბილიტაციის გეგმის განხორციელება.

2014-2017 წლებში გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი - 452,755 ლარი დაიხარჯა ქვესადგურების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოების დაწყებისა და დასრულების აღსანიშნავ ღონისძიებებზე, ხოლო 350,000 ლარი - სხვადასხვა საჩუქრებსა და სუვენირებზე. ელექტროსისტემის განმარტებით, აღნიშნული ხარჯები კომპანიის ცნობადობის ამაღლებას, პოპულარიზაციას, კეთილგანწყობის შექმნასა და პოზიტიური განწყობის დანერგვას ემსახურებოდა.

ამასთანავე, რეაბილიტაციის გეგმის 5.4 მუხლის შესაბამისად, მთლიანობაში საზოგადოების წარმომადგენლობითი ხარჯებისათვის ყოველწლიურ ბიუჯეტში შესაძლებელია გამოყოფილ იქნეს დაგეგმილი წლიური საკუთარი შემოსავლების 0.2%-ის შესატყვისი ფინანსური რესურსი.

ელექტროსისტემამ 2016 და 2017 წლებში რეაბილიტაციის გეგმის ზემოაღნიშნული მოთხოვნის უზულებელყოფით წარმომადგენლობითი ხარჯებისთვის დაგეგმა 626,498 ლარი, ნაცვლად 326,186 ლარისა.

დასკვნა

წარმომადგენლობით ხარჯებში დაგეგმილიდან მნიშვნელოვანი გადაჭარბება მიუთითებს იმაზე, რომ ფინანსთა სამინისტროსთან ხარჯების ზღვრული მოცულობების წინასწარი შეთანხმება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს. შედეგად, 2014-2017 წლებში უზრუნველყოფილ კრედიტორთან დასაბუთებული შეთანხმების გარეშე ელექტროსისტემის მიერ გაწეულმა წარმომადგენლობითმა ხარჯმა 1,217,702 ლარი შეადგინა. ამასთანავე, ვერ დავრწმუნდით დაახლოებით 800,000 ლარის წარმომადგენლობითი ხარჯის ეკონომიურობაში. მითუმეტეს, კომპანიის 2014-2017 წლების ფინანსური შედეგები არ იძლეოდა აღნიშნული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, რადგან კომპანიამ ყველა წელი ზარალით დაასრულა.

6.2. პირველადი დოკუმენტების გარეშე გაწეული ხარჯები

გაწეული ხარჯების მიზნობრიობის და რეალურობის დასადასტურებლად, საჭიროა შესაბამისი პირველადი დოკუმენტების არსებობა,⁴⁵ რომლითაც შესაძლებელი იქნება ოპერაციის შინაარსისა და მონაწილე მხარეების იდენტიფიცირება.

2014-2017 წლებში გაწეული 1,421,679 ლარის ოდენობის წარმომადგენლობით ხარჯებში აუდიტორული შერჩევის შედეგად შემოწმებული 1,010,128 ლარიდან, 39,116 ლარის ოდენობის სარესტორნო ხარჯები აღიარებულია და ანგარიშვალდებულ პირებზე თანხები ჩამოწერილია მიმწოდებლის მიერ წარმოსადგენი სრული პირველადი დოკუმენტების გარეშე, მხოლოდ ჩეკისა და გადახდის დამადასტურებელი ქვითრის საფუძველზე. რითაც შეუძლებელია მონაწილე მხარეების იდენტიფიცირება. აქედან, 25,268 ლარის შემთხვევაში პირველადი დოკუმენტები შედგა 2018 წლის ივნისში (აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში).

დასკვნა

ელექტროსისტემაში არ არის დანერგილი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ხარჯების დამადასტურებელი სრული დოკუმენტაციის შეკრებას და სისტემატიზაციას. რამდენიმე შემთხვევაში ანგარიშვალდებულ პირებზე თანხები ჩამოიწერა მიმწოდებლის მიერ კომპანიის სახელზე გამოწერილი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე. აღნიშნული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს ხარჯების გამჭვირვალობას და ზრდის ფულადი სახსრების არამიზნობრივად ხარჯვის რისკს.

7. საექვო მოთხოვნების ხარჯები

7.1. მოთხოვნების ჩამოწერასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

მოთხოვნის⁴⁶ უიმედო ვალად აღიარების ერთ-ერთი საფუძველია სააღსრულებო ორგანოს მიერ გაცემული ცნობის არსებობა სააღსრულებო წარმოების შედეგად კრედიტორის მიერ კუთვნილი თანხის მიუღებლობის ან ნაწილობრივ მიღების თაობაზე⁴⁷, ამასთანავე, რეაბილიტაციის გეგმის შესაბამისად, მოთხოვნების უიმედო ვალად აღიარების აუცილებელ პირობას უზრუნველყოფილი კრედიტორის თანხმობა წარმოადგენს.

ელექტროსისტემა უიმედოდ აღიარა ის მოთხოვნები, რასთან დაკავშირებითაც საკმარისი საფუძველი არ გააჩნდა.

ცხრილი N10: ინფორმაცია 2014-2017 წლებში მოთხოვნების უიმედო ვალად აღიარების შესახებ

დებიტორების დასახელება	უიმედოდ აღიარებული მოთხოვნები - ლარი	მიზეზი, თუ რატომ არ შეიძლება უიმედო ვალად აღიარება
შპს „ენერგოინვესტი“	43,716	მიუხედავად აღიარების პერიოდისთვის თანხების ამოუღებლობისა, სააღსრულებო ორგანო კვლავ ახორციელებდა დამატებით იძულებით
შპს „ატრიუმი“	34,215	სააღსრულებო მოქმედებებს დებიტორების მიმართ

⁴⁵ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 72-ე მუხლი.

⁴⁶ რომლის გადახდის ვადა გასულია.

⁴⁷ საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის 29-ე პუნქტი, „ბ“ ქვეპუნქტი.

შპს GEO M.L.	18,710	ელექტროსისტემის სააღსრულებო ფურცელი შეუსრულებელი სახით დაუბრუნდა აღსრულების საფასურის გადაუხდელობის გამო. მასში არაფერია ნათქვამი სააღსრულებო ღონისძიებების განხორციელებასა და მოთხოვნის ამოღების შეუძლებლობასთან დაკავშირებით
შპს „ჯორჯიან ბილდინგი“	13,082	სააღსრულებო წარმოების ხანდაზმულობის 10 წლიანი ვადა არ იყო გასული
შპს „აექსი“	28,146	
სულ:	137,869	

დასკვნა

ელექტროსისტემამ 137,869 ლარი უიმედო ვალად აღიარა კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე. ასევე ზემოაღნიშნული მოთხოვნების უიმედო ვალად აღიარება არ იყო შეთანხმებული ფინანსთა სამინისტროსთან. შესაბამისად, ფინანსთა სამინისტროს არ მიეცა ელექტროსისტემის ქმედების კანონშესაბამისობისა და საფუძვლიანობის შეფასების შესაძლებლობა.

7.2. დებიტორული დავალიანებების დაფარვასთან დაკავშირებული ხარვეზები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულია სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადები,⁴⁸ რომელთა დაუცველობის შემთხვევაშიც დებიტორებს ეძლევათ შესაძლებლობა, უარი თქვან ვალდებულებების შესრულებაზე.

ელექტროსისტემამ არ გაატარა საკმარისი სამართლებრივი ღონისძიებები დებიტორების მიმართ, რის შედეგად, მოთხოვნები გახდა ხანდაზმული. დებიტორების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია დანართ N3-ში.

შპს „მეტეხი XXI“-ის (იგივე „ალიონ პლუსი“) შემთხვევაში კი, 1,082,437 აშშ დოლარის და 5,000 ლარის მოთხოვნის ამოღებაზე 2000 წელს გაცემული სააღსრულებო ფურცელი ელექტროსისტემას შეუსრულებელი სახით დაუბრუნდა 2003 წელს იმ მოტივით რომ დებიტორი ვერ მოიძებნა სააღსრულებლო ფურცელში მითითებულ მისამართზე. ელექტროსისტემამ ზემოაღნიშნული დებიტორის მიმართ სააღსრულებო წარმოების განახლება სცადა 2016 წელს მაშინ, როდესაც მოთხოვნის 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადა გასული იყო. დაგვიანებული ქმედების გამო ელექტროსისტემამ დაკარგა ზემოაღნიშნული დებიტორული დავალიანების თუნდაც ნაწილობრივ ამოღების შესაძლებლობა.

დასკვნა

ამრიგად, ზემოაღნიშნული დებიტორების მიმართ ელექტროსისტემას არ გაუტარებია სამართლებრივი ღონისძიებები, რის გამოც გაშვებულია მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადები. შედეგად, დებიტორებს მიეცათ შესაძლებლობა, უარი განაცხადონ 1,320,845 ლარის ანაზღაურებაზე.

ხოლო შპს „მეტეხი XXI“-ის შემთხვევაში, 1,082,437 აშშ დოლარის და 5,000 ლარის ამოღების შესაძლებლობა გაშვებულია ელექტროსისტემის დაგვიანებული ქმედების გამო.

ზემოაღნიშნული შემთხვევები ელექტროსისტემის მიერ მოთხოვნების არასათანადო განკარგვაზე მიუთითებს.

⁴⁸ 129-ე მუხლი.

რეკომენდაცია N8. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“

სავალო მოთხოვნების ეფექტიანად მართვის და ფულადი დანაკარგების მაქსიმალურად შემცირების მიზნით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ვადამოსული მოთხოვნების დროულ გამოვლენას და მათ ამოსაღებად შესაბამის ქმედებებს.

7.3. არარეალური ვალდებულებების აღიარება

ელექტროსისტემას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „მცირე ენერგოკომპანიის“ მიმართ ერიცხებოდა როგორც მოთხოვნა, ასევე დავალიანება, შესაბამისად, 176,548 და 138,740 ლარის ოდენობით.

აღსანიშნავია, რომ ელექტროსისტემის ვალდებულება აღიარებულია კანონდარღვევით,⁴⁹ სასამართლო წესით შემოწმების გარეშე. იხ. წინამდებარე ანგარიშის ქვეთავი 2.1 – „რეაბილიტაციის გეგმაში ვალდებულებების ასახვის ნაკლოვანებები“.

ელექტროსისტემის მიერ წარმოდგენილი აღსრულების ეროვნული ბიუროს წერილის⁵⁰ შესაბამისად, მოვალის - შპს „მცირე ენერგოკომპანიის“ დირექტორის მიერ 2012 წლის 5 მარტს აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარდგენილი ქონებრივი ნუსხით დგინდება, რომ მოვალეს მოთხოვნები მესამე პირების მიმართ არ გააჩნია, რაც ელექტროსისტემას აძლევს აღნიშნული თანხების გადახდაზე უარის თქმის საშუალებას. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი წერილობითი განმარტებით, ელექტროსისტემა გეგმავს ზემოთ აღნიშნული მოთხოვნისა და ვალდებულების ურთიერთგაქვითვას 2021-2023 წლებში.

დასკვნა

ელექტროსისტემა სასამართლო წესით აღიარებული კანონიერი მოთხოვნის გაქვითვას გეგმავს კანონმდებლობის მოთხოვნების დაუცველად აღიარებულ იმ კრედიტორულ დავალიანებაში, რომლის რეალობას შპს „მცირე ენერგოკომპანიის“ უფლებამოსილი წარმომადგენელიც არ ადასტურებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს რისკი, რომ დებიტორული დავალიანება ურთიერთგაქვითვით შემცირდეს რეაბილიტაციის გეგმაში ასახული არარეალური ვალდებულებების გამო.

7.4. მოთხოვნებთან დაკავშირებული სხვა ნაკლოვანებები

მოთხოვნების დაფარვასთან დაკავშირებით ელექტროსისტემის ქმედებების შეფასების მიზნით, აუცილებელია სრულყოფილი ინფორმაციის გაანალიზება კონკრეტული დებიტორებისა და მათთან განხორციელებული ოპერაციების შესახებ.

ელექტროსისტემამ შემდეგ შემთხვევებთან დაკავშირებით ვერ უზრუნველყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ინფორმაციის მიწოდება, კერძოდ:

1. ელექტროსისტემის დებიტორის, სს „ენერგია XXI“-ის გაკოტრების საქმისწარმოება 2008 წლიდან მიმდინარეობდა, რაც დასრულდა 2015 წელს კომპანიის ლიკვიდაციით. მმართველთა საბჭოს 2017 წლის

⁴⁹ გადახდისუუნარობის კანონის 29-ე მუხლი.

⁵⁰ A11037151-009/001; 08.12.2017.

30 ოქტომბრის კრების გადაწყვეტილებით კი ლიკვიდირებული კომპანიის მიმართ 59,353,922 ლარის მოთხოვნა აღიარდა უიმედოდ. ელექტროსისტემამ ვერ წარმოადგინა ინფორმაცია აღნიშნული მოთხოვნის წარმოშობის პერიოდთან დაკავშირებით.

2. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ელექტროსისტემაში აღრიცხული 8,383,315 ლარის საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებით, კომპანიამ ვერ წარმოადგინა შემდეგი ინფორმაცია: დებიტორის საიდენტიფიკაციო ნომერი, მოთხოვნის წარმოშობის თარიღი, მოთხოვნის დაფარვის სახელშეკრულებო ვადა, განხორციელებული ქმედებები მოთხოვნის ამოღებასთან დაკავშირებით.

ელექტროსისტემის განმარტებით, 8,383,315 ლარის მოთხოვნები მოიცავს სს „ელექტროგადამცემისა“ და შპს „ელექტროდისპეტჩერიზაცია-2000“-ის (რომელთა სამართალმემკვიდრეს წარმოადგენს ელექტროსისტემა) მიმართ არსებულ დავალიანებებს და მათ შორის არიან ისეთი დებიტორებიც, რომელთა მაიდენტიფიცირებელი მონაცემები ან მოთხოვნის წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტები ელექტროსისტემას არ გააჩნია და ვერ მოხერხდა აღნიშნული მოთხოვნების ამოღებასთან დაკავშირებით სამართლებრივი ღონისძიებების გატარება.

ამდენად, ელექტროსისტემა ვერ განმარტავს - კონკრეტულად რომელი დებიტორის შემთხვევაში, რა ობიექტური მიზეზების გამო ვერ უზრუნველყო სათანადო დოკუმენტაციის მოძიება და სამართლებრივი ღონისძიებების გატარება. აღსანიშნავია, რომ ამ თანხაში უმსხვილეს დებიტორებს წარმოადგენენ შემდეგი კომპანიები: „თელასი“ - 5,763,033 ლარი და „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ - 789,164 ლარი.

3. კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრის (საქმე 2/8768-11) შესაბამისად, დებიტორის - სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ გაკოტრების საქმეში ელექტროსისტემის მოთხოვნები: 9,445,887 ლარი - შემცირდა 4,685,505 ლარამდე, ხოლო 1,455,934 ლარი - 12 ლარამდე. ელექტროსისტემამ ვერ წარმოადგინა ინფორმაცია აღნიშნული მოთხოვნების შემცირების საფუძვლების შესახებ.

დასკვნა

ვინაიდან ელექტროსისტემამ ვერ წარმოადგინა ინფორმაცია აღნიშნული მოთხოვნის წარმოშობის პერიოდთან დაკავშირებით, ვერ შეფასდა დებიტორის გაკოტრების საქმის წარმოების გახსნამდე შესაძლებელი იყო თუ არა კომპანიის მიერ დებიტორის მიმართ დროული სამართლებრივი ღონისძიებების გატარება და მოთხოვნის თუნდაც ნაწილობრივ დაკმაყოფილება.

ასევე ვერ შევაფასეთ 8,383,315 ლარის დასაბრუნებლად რამდენად შეეძლო ელექტროსისტემას სამართლებრივი ქმედებების განხორციელება, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დაცვით.

ვინაიდან კომპანიამ ვერ წარმოადგინა სათანადო განმარტებები და შესაბამისი მტკიცებულებები მოთხოვნების შემცირებასთან დაკავშირებით, შეუძლებელია შეფასება - კანონიერი იყო თუ არა დებიტორ სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ მოთხოვნების რეესტრში მოთხოვნის ჯამურად 6,216,303 ლარით შემცირება.

8. საინვესტიციო პროექტები

ახალი ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის დროს ხშირ შემთხვევაში საჭირო ხდება კერძო მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების გამოსყიდვა. 2014-2017 წლებში ელექტროსისტემის მიერ ზემოაღნიშნული მიზნებისთვის გადახდილმა კომპენსაციამ ჯამურად 25,948,010 ლარი⁵¹ შეადგინა:

ცხრილი N11: ინფორმაცია აქტივების შეძენასა და კომპენსაციებზე გაწეული ხარჯების შესახებ

N	ელექტროგადამცემი ხაზების პროექტები	2014	2015	2016	2017	ჯამი
1	ახალციხე-ბათუმი	-	-	3,768,309.47	13,467,861.66	17,236,171
2	ქსანი-სტეფანწმინდა	-	-	93,102.98	4,616,794.88	4,709,898
3	დერჯი	-	-	657,195.20	1,360,300.50	2,017,496
4	ჯვარი-ხორგა	-	-	896,220.73	787,496.88	1,683,718
5	სხვა	20,903	-	140,936.30	138,886.70	300,727
	ჯამი	20,903.00	0	5,555,764.68	20,371,340.62	25,948,008.00

8.1. ქონების გამოსყიდვის ხელშეკრულებების ხარვეზები

ელექტროსისტემის მიერ საინვესტიციო პროექტების განხორციელების დროს, ქონების გამოსყიდვის შემთხვევაში აუდიტორული კომპანია აფასებს უძრავ ქონებას, რის საფუძველზეც ფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება. ქონების გამოსყიდვის პროცედურის გამჭვირვალობის მიზნით შედგენილი დოკუმენტაცია უნდა იძლეოდეს დეტალურ ინფორმაციას შესასყიდი ობიექტის შესახებ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა 8,647,776 ლარის⁵² კომპენსაციებთან დაკავშირებული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნები და სხვა დოკუმენტაცია, საიდანაც 6 შემთხვევაში (1,755,782 ლარის ჯამური კომპენსაცია) შეფასებული შენობა-ნაგებობების და მრავალწლიანი ნარგავების ფოტოდოკუმენტირება არ იძლევა შეფასებული ქონების იმ ღირებულებით აღქმის და იდენტიფიცირების შესაძლებლობას, რა ღირებულებითაც მოხდა მათი შეფასება. ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში ფოტოები არ იძლევა სათანადო რწმუნებას შეფასებული ქონების შესაბამისი რაოდენობით არსებობის შესახებ. მაგალითები წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში:

ცხრილი N12: ინფორმაცია არასათანადო დოკუმენტირებით გამოსყიდული აქტივების შესახებ

ხელშეკრულება	კომპენსაცია (ლარი)	შეფასებული ქონება სათანადო ფოტოდოკუმენტირების გარეშე
60-7-516-1377	441,884	მრავალწლიანი ნარგავები - 97,569 ლარი, ერთწლიანი კულტურები - 1,525 ლარი, შენობა-ნაგებობები - 217,915 ლარი.
60-7-517-782	427,154	მრავალწლიანი კულტურები (1341 ერთეული) - 141,266 ლარი; 33,37 კვ.მ შენობა-ნაგებობა - 7,035 ლარი.

⁵¹ 2015 წელს კომპენსაციების/აქტივების შეძენის მიზნით თანხა გადახდილი არ არის.

⁵² 25,948,008 ლარიდან

60-7-517-1860	293,406	საცხოვრებელი სახლი - 132,915 ლარი, მარანი - 5,800 ლარი, ბოსელი - 6,140 ლარი, ნალია - 4,845 ლარი, აუზი - 22,170 ლარი.
60-7-517-713	289,890	მრავალწლიანი კულტურები (799 ერთეული) - 84,202 ლარი.
60-7-517-186	194,171	საცხოვრებელი სახლი - 48,900 ლარი, ბოსელი - 17,930, დამხმარე სათავსო - 860 ლარი (ფოტოდოკუმენტირება არ არის წარმოდგენილი).
00-7-517-599	109,277	მრავალწლიანი ნარგავები - 109,277 ლარი.
სულ	1,755,782	

ელექტროსისტემაში არსებული კონტროლის მექანიზმები ცალკეულ შემთხვევებში ვერ უზრუნველყოფს ნასყიდობის ხელშეკრულებებთან და ქონების შეფასების პროცესთან დაკავშირებული ხარვეზების იდენტიფიცირებას და აღმოფხვრას. მაგალითად:

- ცალკეულ შემთხვევებში ხელშეკრულებებში ნასყიდობის ფასის ციფრული და ტექსტური ჩანაწერები ურთიერთშეუსაბამოა⁵³.
- ფიქსირდება შეუსაბამოები შეფასებული ქონებისა და შესყიდული ქონების მისამართებს შორის,⁵⁴

ზემოაღნიშნული მიუთითებს შესასყიდი ქონების შეფასებისა და ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე იმ კონტროლის მექანიზმების სისუსტეზე, რაც უნდა უზრუნველყოფდეს მსგავსი ხარვეზების გამორიცხვას, ან იდენტიფიცირებას და გამოსწორებას.

დასკვნა

ელექტროსისტემაში საინვესტიციო პროექტების განხორციელებისთვის გამოისყიდა უძრავი ქონება კერძო მფლობელებისგან, რასაც საფუძვლად დაედო აუდიტორული კომპანიების შეფასებები. ვინაიდან ფოტოდოკუმენტირება არ იძლევა შეფასებული ქონების იმ ღირებულებით აღქმის და იდენტიფიცირების შესაძლებლობას, რა ღირებულებითაც მოხდა მათი შეფასება, ვერ დავრწმუნდით, რომ მოსახლეობისგან გამოსყიდული ქონების საკომპენსაციოდ გადახდილია სათანადო ფასები.

8.2. ნებართვის გარეშე დაწყებული სამშენებლო სამუშაოები

ელექტროსისტემის მიერ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოები საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ მშენებლობის ნებართვებს.

2014-2017 წლებში ელექტროსისტემის მიერ გადახდილი სანებართვო მოსაკრებლების და რეგულირების საფასურის ჯამური მოცულობა 886,905 ლარს შეადგენს. კომპანია ცალკეულ შემთხვევებში სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს მშენებლობის ნებართვის გარეშე, რისთვისაც აუდიტის პერიოდში დაჯარიმებულია 25-ჯერ. გადახდილი ჯარიმების ჯამური მოცულობა შეადგენს 69,400 ლარს, საიდანაც 40,100 ლარი წარმოადგენს განმეორებითი სამშენებლო სამართალდარღვევისათვის დაკისრებულ ჯარიმას.

⁵³ მაგალითად, ხელშეკრულებები: N60-7-517-1321 - 222,465.00 ლარზე, N60-7-517-1860 - 293,406.30 ლარზე (პუნქტი 3.1), ელექტროსისტემა განმარტა, რომ „აღნიშნული წარმოადგენს ტექნიკური ხასიათის შეცდომას და მიუხედავად ამ შეცდომისა, მესაკუთრეს ზედმეტი თანხა არ ჩარიცხვია, ვინაიდან მესაკუთრისათვის გადახდილი მთლიანი საკომპენსაციო თანხა შეესაბამება ამ თანხის შემადგენელი კომპონენტების (მიწის ნაკვეთის, ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურები, შენობა-ნაგებობები და ა.შ.) საკომპენსაციო ღირებულების ჯამურ ოდენობას.

⁵⁴ მაგალითად: 293,406.30 ლარზე გაფორმებული 60-7-517-1860 ხელშეკრულების მიხედვით, ნასყიდობის საგანია სოფელ ძეწაწანში არსებული ქონება, თუმცა აღნიშნული შენობა-ნაგებობების აუდიტორული შეფასების დასკვნაში მისამართად მითითებულია სოფელი არსენაული.

დასკვნა

სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას კანონმდებლობით გათვალისწინებული დაჯარიმების საფუძვლების აღმოფხვრა ელექტროსისტემას არ მიაჩნია პრიორიტეტულად. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია ახორციელებს სპეციფიკურ და რთულ სამშენებლო სამუშაოებს, ასეთი სამუშაოების უნებართვოდ წარმოებამ შესაძლებელია მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს სხვადასხვა მიმართულებით (გარემოზე ზემოქმედება, მოსახლეობის უსაფრთხოება, არსებული ინფრასტრუქტურის შესაძლო დაზიანება და ა.შ.).

8.3. ელექტროსისტემისთვის დაკისრებული ჯარიმები არასწორად შეფასებული რისკები

ელექტროსისტემამ „ჯვარი-ხორგას“⁵⁵ და „ქსანი-სტეფანწმინდის“⁵⁶ ელექტროგადამცემი ხაზების პროექტირებისა და მშენებლობის მიზნით, ხელშეკრულებები გააფორმა 2014 წლის 29 აპრილს Jyoti Structures LTD of India-სთან⁵⁷, სახელშეკრულებო თანხით 13,035,533 ევრო და 2015 წლის 17 ივნისს ELTEL Group Oy-სთან⁵⁸, სახელშეკრულებო თანხით 21,565,242 ევრო. შესყიდვები განხორციელებულია დონორების მიერ შერჩეული ე.წ. Design-build წესებით, რაც ითვალისწინებს პროექტირებასა და მშენებლობას ერთი და იმავე კონტრაქტორის მიერ. ხელშეკრულებები კონტრაქტორების მოცდენის შემთხვევაში ითვალისწინებდა ელექტროსისტემის მხრიდან დამატებით ანაზღაურებას.

ხელშეკრულებებით ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა უნდა დასრულებულიყო 2016 („ჯვარი-ხორგა“) და 2017 წლებში („ქსანი-სტეფანწმინდა“), თუმცა პროექტის განხორციელების დროს წარმოქმნილმა პრობლემებმა გამოიწვია ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის შეფერხება და კონტრაქტორების მოცდენის გამო, ელექტროსისტემის მიერ დამატებით 10,220,729 ლარის გადახდა.

ცხრილი N13: ინფორმაცია დაკისრებული კომპენსაციების შესახებ

პროექტი	დარიცხული ჯარიმა (EUR)	გადახდა		გადახდის თარიღი
		EUR	GEL	
„ჯვარი-ხორგა“	2,619,659	1,519,659	4,410,506.32	11.01.2017
		100,000	294,050	20.10.2017
		800,000	2,408,480	31.10.2017
„ქსანი-სტეფანწმინდა“	1,089,425	377,296	1,019,302.87	01.03.2017
		712,129	2,088,390	16.10.2017
		3,509,084	10,220,729	

აღნიშნული კომპენსაციის თანხა გამოიანგარიშა დონორების წესების შესაბამისად დაქირავებულმა კონსულტანტმა - Fichtner-მა. მოცდენის კომპენსაცია გამოწვეული იყო შემდეგი მიზეზებით:

- სამუშაო ადგილებზე დაშვების უფლების არქონა და მიწის მესაკუთრეებთან დაკავშირებული სხვა პრობლემები („ქსანი-სტეფანწმინდა“, „ჯვარი-ხორგა“);
- სამუშაო ადგილების გაფანტულობა, რაც იწვევდა ლოჯისტიკურ პრობლემებს და დამატებით ხარჯებს („ქსანი-სტეფანწმინდა“);

⁵⁵ დონორი - EBRD

⁵⁶ დონორი - KFW

⁵⁷ „ჯვარი-ხორგა“

⁵⁸ „ქსანი-სტეფანწმინდა“

- ხეების მოჭრისა და მშენებლობის ნებართვების დაგვიანება („ქსანი-სტეფანწმინდა“, „ჯვარი-ხორგა“);
- ხაზის მარშრუტისა და ანძების ტიპის ცვლილების მოთხოვნა ელექტროსისტემის მხრიდან („ჯვარი-ხორგა“);
- კონტრაქტორის თანამშრომლებისა და ტექნიკის მოცდენა („ჯვარი-ხორგა“).

დასკვნა

ელექტროსისტემას პროექტირებისა და მშენებლობის ხელშეკრულებების გაფორმების მომენტში არ ჰქონდა გაანალიზებული სამუშაოთა შემადგერხეხელი გარემოებების დადგომის შესაძლებლობა. ელექტროსისტემამ ამგვარი ხელშეკრულების გაფორმებით მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა აიღო მის კონტროლს მიღმა არსებულ რისკებზე. აღნიშნული მიუთითებს არსებული რისკების არასათანადო შეფასებასა და ხელშეკრულებების გაფორმების პროცესში ელექტროსისტემის ინტერესების გაუთვალისწინებლობაზე, რამაც 2016-2017 წლებში 10,220,729 ლარის დამატებითი ხარჯი გამოიწვია.

სასესხო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დაინტერესებული მხარეების არასათანადო ინფორმირება

ქვესასესხო ხელშეკრულებების მიხედვით,⁵⁹ ელექტროსისტემის ვალდებულებას წარმოადგენდა დონორების, ფინანსთა სამინისტროს და ენერგეტიკის სამინისტროს დროული ინფორმირება ისეთი გარემოებების წარმოქმნის შესახებ, რომლებსაც შესაძლოა ემოქმედა სესხის მიზნობრივად გამოყენებაზე.

საინვესტიციო პროექტებთან დაკავშირებით, ფინანსთა და ენერგეტიკის სამინისტროებს ეგზავნებოდათ ყოველთვიური ანგარიშები, თუმცა აღნიშნული პროექტების განხორციელების ეტაპზე წარმოქმნილი პრობლემების და კომპენსაციის გადახდასთან დაკავშირებული რისკების შესახებ ფინანსთა და ენერგეტიკის სამინისტროების დროული და სრული ინფორმირება არ განხორციელებულა.

კერძოდ, ელექტროსისტემამ „ჯვარი-ხორგის“ და „ქსანი-სტეფანწმინდის“ პროექტებთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ ფინანსთა და ენერგეტიკის სამინისტროებს აცნობა 2017 წლის 28 მარტს, რა დროსაც ელექტროსისტემის მიერ უკვე გადახდილი იყო, შესაბამისად, 4,410,506 და 1,019,302 ლარის კომპენსაციები.

საყურადღებოა, რომ სამინისტროებისთვის გაგზავნილ ანგარიშებში არ იყო ცხადად აღწერილი პრობლემის არსი და ელექტროსისტემაზე დაკისრებული და გადახდილი კომპენსაციის შესახებ ინფორმაცია.

მთავრობის დადგენილების⁶⁰ მიხედვით, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულმა საწარმოებმა უცხოურ კონტრაქტორებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი უნდა წარუდგინონ

59 ფინანსთა სამინისტროს, ენერგეტიკის სამინისტროსა და ელექტროსისტემას შორის 2014 წლის 29 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი და იმავე მხარეებს შორის 2014 წლის 26 თებერვლის ქვესასესხო ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

60 საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის N 139 დადგენილება, მუხლი 1.

განსახილველად საქართველოს მთავრობას, თუ დავების გადაწყვეტის მექანიზმად განისაზღვრება საერთაშორისო არბიტრაჟი ან უცხო ქვეყნის სასამართლო.

კონტრაქტორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები⁶¹ დავების გადაწყვეტის მექანიზმად ითვალისწინებდა საერთაშორისო არბიტრაჟს. მიუხედავად ამისა, ელექტროსისტემას შესატანხმებლად არცერთი ზემოაღნიშნული ხელშეკრულების პროექტი საქართველოს მთავრობისთვის არ წარუდგენია.

დასკვნა

ელექტროსისტემამ დაარღვია ფინანსთა სამინისტროს, ენერგეტიკის სამინისტროსა და კომპანიას შორის დადებული სამმხრივი ხელშეკრულების მოთხოვნა - პროექტების შეფერხებებისთვის ისე გადაიხადა ჯარიმები, რომ ენერგეტიკის და ფინანსთა სამინისტროები სრულყოფილად ინფორმირებულნი არ იყვნენ. ამასთანავე, საქართველოს მთავრობას ელექტროსისტემამ არ შეუთანხმა უცხოელ კონტრაქტებთან გასაფორმებული ხელშეკრულებების პროექტები, როგორც ეს მოეთხოვებოდა კანონმდებლობით.

განსახლების გეგმების მომზადებისა და განხორციელების ნაკლოვანებები

ხაზობრივი ნაგებობების პროექტების შესასრულებლად აუცილებელია განსახლების სამოქმედო გეგმების მომზადება და განხორციელება, რაც გულისხმობს მშენებლობის ფარგლებში მოქცეული უძრავი ქონების იდენტიფიცირებას და მესაკუთრეებისაგან საკუთრების ან სერვიტუტის უფლების მოპოვებას. აღნიშნული განსახლების სამოქმედო გეგმები დაფუძნებული უნდა იყოს დეტალურ მშენებლობის პროექტზე, რომლის მიწოდებაც უნდა მოხდეს პროექტის განმახორციელებლის მიერ. ზემოაღნიშნული ქმედებების გარეშე სამშენებლო სამუშაოების დროული განხორციელება შეუძლებელია.

ელექტროგადამცემი ხაზების პროექტების შედგენისა და მშენებლობის ხელშეკრულებების გაფორმების შემდეგ, ელექტროსისტემამ განსახლების სამოქმედო გეგმების მომზადებისა და განხორციელების მომსახურება შეიძინა ორი ხელშეკრულებით:⁶² ა(ა)იპ-ისგან „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“ („ჯვარი-ხორგა“) და შპს „ალიგატორისგან“ („ქსანი-სტეფანწმინდა“). „ჯვარი-ხორგას“ შემთხვევაში ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2015 წლის 10 სექტემბერი, ხოლო „ქსანი-სტეფანწმინდის“ შემთხვევაში - 2017 წლის 31 იანვარი. კონტრაქტორებმა ვერ შეძლეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულება თავდაპირველად განსაზღვრულ ვადებში, რაც ძირითადად განპირობებული იყო მიწის მესაკუთრეებთან და მიწების რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემებით, რამაც ასევე გააჭიანურა ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა. აღნიშნული სირთულეებიდან გამომდინარე განსახლების სამოქმედო გეგმების განხორციელების პროცესი აუდიტის მიმდინარეობის პერიოდშიც არ იყო დასრულებული.

აღსანიშნავია, რომ ელექტროსისტემას განსახლების დოკუმენტების მომზადება და მათი განხორციელება, რაც წარმოადგენდა ა(ა)იპ-თან - „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“ და „ალიგატორთან“ გაფორმებული ხელშეკრულებების საგანს, სასყიდლიანი დავების ხელშეკრულებების საფუძველზე

61 2014 წლის 29 აპრილისა და 2015 წლის 17 ივნისის საკონტრაქტო შეთანხმებების განსაკუთრებული პირობების მე-20 მუხლი.

62 CMR140155287-„ჯვარი-ხორგა“ და SPA150030105-„ქსანი-სტეფანწმინდა“.

დაკისრებული ჰქონდა ასევე თავისი შვილობილი კომპანია - „ენერგოტრანსისათვის“. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ელექტროსისტემის ერთი და იმავე შინაარსის მომსახურების მისაღებად, თითოეული პროექტის შემთხვევაში, დაქირავებული ჰყავდა ორი კონტრაქტორი, მათი პასუხისმგებლობების გამიჯვნის გარეშე.

დასკვნა

ელექტროსისტემამ ერთი და იმავე მომსახურების მისაღებად ხელშეკრულებები გაუფორმა სხვადასხვა კომპანიებს მათი უფლებამოსილების გამიჯვნის გარეშე. შესაბამისად, ჩვენ ვერ დავრწმუნდით კომპანიის კუთვნილი თანხების ეკონომიურ განკარგვაში.

9. შესყიდვები

2014-2017 წლებში ელექტროსისტემა ხელმძღვანელობდა საქართველოს კანონით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მთავრობის დადგენილებით⁶³ დამტკიცებული „სპეცფესით“⁶⁴ და დონორების მიერ განსაზღვრული შესყიდვების პროცედურებით. ინფორმაცია შესყიდვების ტიპების, რაოდენობის და სახელშეკრულებო თანხების შესახებ მოცემულია ცხრილში.

ცხრილი N14: ინფორმაცია 2014-2017 წლების ფინანსური სახსრებით გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ

შესყიდვის ტიპი	რაოდენობა	სახელშეკრულებო თანხა (ლარი)
სახელმწიფო შესყიდვები სულ:	1,652	92,019,252
ტენდერი	1013	51,091,631
გამარტივებული შესყიდვა	639	40,927,621
სპეცფესით განხორციელებული შესყიდვები სულ:	479	49,146,127
ტენდერი	15	21,169,727
ფასთა გამოკითხვა	68	21,478,000
გამარტივებული შესყიდვა	396	6,498,400
დონორების წესებით	24	221,454,210
სულ შესყიდვები:	2,155	362,619,589

9.1. უსაფუძვლოდ გამარჯვებული პრეტენდენტები

კანონმდებლობის თანახმად,⁶⁵ თუ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ მოთხოვნებს, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით ხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესაძლებელია დაზუსტების მოთხოვნა. ამასთანავე, დაუშვებელია დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის განმეორებითი დაზუსტება. დაზუსტებისა და

⁶³ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის N 53 დადგენილება სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ გადაცემა-დისპეტჩერიზაციის შეუფერხებლად განხორციელებისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ.

⁶⁴ ელექტროსისტემა აღნიშნული სპეცფესით შესყიდვებს ახორციელებდა 2013-2015 წლებში. შემდგომ პერიოდებისთვის სპეცფესი აღარ დამტკიცებულა.

⁶⁵ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება.

დისკვალიფიკაციის გამოყენების მექანიზმები გათვალისწინებულია ასევე, ელექტროსისტემის სპეცფიკაციით.⁶⁶

ცალკეულ შესყიდვებში პრეტენდენტების ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამებოდა შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს, თუმცა პრეტენდენტი გამარჯვებულად ცხადდებოდა დაზუსტების მექანიზმის გამოყენების გარეშე, ხოლო არასათანადოდ დაზუსტებული წინადადების შემთხვევაში არ ხდებოდა პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია:

- ზეთის სადგენი სადგენი დანადგარის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ფასთა გამოკითხვაში MICAFLUID AG-ის წინადადება არ შეესაბამებოდა შემსყიდველის მოთხოვნებს, თუმცა გამოცხადდა გამარჯვებულად. კერძოდ, გამოვლინდა შემდეგი შეუსაბამობები:

1. არ იყო წარმოდგენილი არანაკლებ 3 სარეკომენდაციო წერილი.
2. 10 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი არ იყო შედგენილი შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი ფორმით, ვინაიდან არ იყო მითითებული კონტრაქტების ღირებულება.
3. პრეტენდენტი ავანსის სახით სახელშეკრულებო ღირებულების 15%-ის ნაცვლად ითხოვდა 95%-ს (საბანკო გარანტიის გარეშე).
4. საქონლის მოწოდების ვადად 3 თვის ნაცვლად შემოთავაზებული იყო 5 თვე.

ზემოაღნიშნული შეუსაბამობების მიუხედავად, ელექტროსისტემამ MICAFLUID AG გამარჯვებულად გამოაცხადა, დაზუსტების გარეშე, გაუფორმა 212,638 შვეიცარიული ფრანკის ღირებულების (507,058 ლარი) ხელშეკრულება⁶⁷ და გადაურიცხა მოთხოვნილი ავანსი საბანკო გარანტიის გარეშე.

მიუხედავად რამდენიმე მნიშვნელოვანი შეუსაბამობისა, ელექტროსისტემა დათანხმდა ხელშეკრულების გაფორმებას პრეტენდენტის რეპუტაციისა და მოკლე ვადებში შესყიდვის აუცილებლობის მოტივით. აღსანიშნავია, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები განახორციელა 124 დღის დაგვიანებით.

- სხვადასხვა ტექნიკური აღჭურვილობის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში⁶⁸ სს „საქენერგორემონტის“ წინადადება არ შეესაბამებოდა შემსყიდველის მოთხოვნებს, თუმცა გამოცხადდა გამარჯვებულად. კერძოდ, გამოვლინდა შემდეგი შეუსაბამობები:

1. არ ჰქონდა წარმოდგენილი მოწყობილობების მწარმოებელი ერთ-ერთი კომპანიის - TRIDELTA-ს 5-წლიანი მიწოდების ან/და წარმოების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
2. არ ჰქონდა წარმოდგენილი მოწყობილობების მწარმოებელი მეორე კომპანიის - ALSTOM-ის შესახებ სხვადასხვა მოთხოვნილი ინფორმაცია.⁶⁹
3. შეთავაზებული მოწყობილობების⁷⁰ სპეციფიკაციები არ აკმაყოფილებდა ტენდერის მოთხოვნებს:

⁶⁶ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის N 53 დადგენილება.

⁶⁷ CMR150063498

⁶⁸ DEP150000034. 2015 წლის 23 დეკემბერი. სავარაუდო ღირებულება 2,280,000 ლარი დღგ-ის ჩათვლით.

⁶⁹ ცხრილი არ შეიცავდა შემსყიდველის საკონტაქტო მონაცემებს, კონტრაქტის ნომერს, დაგეგმილ და ფაქტობრივად მიწოდების თარიღებს. წარმოდგენილი ინფორმაციით არ დასტურდებოდა ALSTOM-ის მიერ ძაბვისა და დენის ტრანსფორმატორების, 220 კვ მაღალი ძაბვის ელგაზური ამომრთველებისა და საყრდენი იზოლატორების წარმოების ან/და მიწოდების გამოცდილება.

⁷⁰ ALSTOM-ის წარმოებული 220 კვტ ამომრთველი.

მოწყობილობის პარამეტრი	ელექტროსისტემის მოთხოვნა	საქენერგორემონტის შეთავაზება
Closing time (მილიწამი)	<55	72
Opening time (მილიწამი)	17	36
total break time (მილიწამი)	40	50

ამრიგად, ელექტროსისტემამ სს „საქენერგორემონტი“ რომელიც იმსახურებდა დისკვალიფიკაციას, წინადადების დაზუსტების გარეშე გამოაცხადა გამარჯვებულად და გაუფორმა 1,948,582 ლარის ღირებულების ხელშეკრულება.

- რკალმქრობი კოჭების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში⁷¹ გამარჯვებული პრეტენდენტის - შპს „Softmaster“-ის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური პასპორტის მიხედვით, შემოთავაზებული საქონელი არ შეესაბამებოდა შემსყიდველის მიერ მოთხოვნილ პირობებს. კერძოდ, განსხვავებული იყო ნომინალური ძაბვის მონაცემები. შეუსაბამობის მიუხედავად, პრეტენდენტის წინადადება ჩაითვალა მისაღებად და გაუფორმდა ხელშეკრულება 193,857 ევროს ოდენობით.

ელექტროსისტემის განმარტებით, შემოთავაზებული მოწყობილობები მისთვის მისაღები იყო, ვინაიდან საქონლის ნომინალური ძაბვის მახასიათებელი შეესაბამებოდა მარეგულირებელი კომისიის მიერ დადგენილ დიაპაზონს. ასეთ შემთხვევაში, კონკურენციის შეზღუდვის თავიდან ასაცილებლად, მოთხოვნილ პარამეტრებში ელექტროსისტემას უნდა მიეთითებინა ნომინალური ძაბვის შესაბამისი დიაპაზონი და არა კონკრეტული მონაცემი.⁷² მიმწოდებელმა საქონელი მოაწოდა 162 დღის დაგვიანებით.

- სასერვერო ინფრასტრუქტურის (თანმდები მომსახურებით) მოწყობის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერის⁷³ მოთხოვნების მიხედვით, პრეტენდენტს IT სფეროში უნდა ჰქონოდა განხორციელებული, მინიმუმ, ერთი პროექტი, რომლის ბიუჯეტი იქნებოდა არანაკლებ 500,000 ლარი. უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტი, შპს „ორიენტ ლოჯიკი“, რომელთანაც გაფორმდა 1,117,460 ლარის ღირებულების ხელშეკრულება, წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ვერ აკმაყოფილებდა ზემოაღნიშნულ მოთხოვნას.

პრეტენდენტის შემოთავაზებული სასერვერო ოთახის კონდიციონერის გაგრილების სისტემის ენერგოეფექტურობის მაჩვენებელი ასევე ვერ აკმაყოფილებდა სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს. აღსანიშნავია, რომ ელექტროსისტემამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ გაითვალისწინა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება, ენერგოეფექტურობის გამოთვლის პარამეტრებთან დაკავშირებით.

- სხვადასხვა სახის ელექტრომოწყობილობების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში⁷⁴ უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტის - შპს „ორიენტის“ სატენდერო წინადადებით შემოთავაზებული ელექტრომოწყობილობების ტექნიკური პარამეტრები არ შეესაბამებოდა შემსყიდველის მიერ

⁷¹ 2016 წლის 8 სექტემბერს გამოცხადებული ტენდერი (SPA160024558), სავარაუდო ღირებულება - 440,677 ლარი (დღგ-ის გარეშე).

⁷² „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12¹ მუხლის მე-6 პუნქტი.

⁷³ 2016 წლის 13 დეკემბერს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი (SPA160030959), სავარაუდო ღირებულებით 1,016,949 ლარი(დღგ-ის გარეშე).

⁷⁴ 2017 წლის 26 ივნისს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი (SPA170008730) სავარაუდო ღირებულებით - 983,536 ლარი (დღგ-ის გარეშე).

მოთხოვნილს.⁷⁵ შეუსაბამობების მიუხედავად, ელექტროსისტემას დაზუსტება არ მოუთხოვია და 2017 წლის 1 სექტემბერს შპს „ორიენტთან“ გააფორმა ხელშეკრულება 333,295 ევროს ღირებულებაზე.

- ვებგვერდის დამზადების მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში⁷⁶ მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა, უნგრულმა კომპანიამ - shiwaforce.com.inc. ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით, პრეტენდენტს უნდა წარმოედგინა სულ მცირე ერთი ექსპერტი, რომელიც დაამტკიცებდა, რომ შეძლო 3 ისეთი კომპლექსური პორტალის ადმინისტრირება, სადაც პროექტის განხორციელების საფასური 20,000 ლარზე მეტი იქნებოდა. პრეტენდენტს ასევე უნდა წარმოედგინა მის მიერ დანერგილი ანალოგიური ვებპორტალის შესახებ დეტალური ინფორმაცია, რომელთა შორის უნდა ყოფილიყო დამკვეთის სახელი და მის მიერ დანიშნული ზედამხედველის საკონტაქტო ინფორმაცია.⁷⁷ პრეტენდენტს აღნიშნული ინფორმაცია არ წარმოუდგენია. ელექტროსისტემამ პრეტენდენტი გამარჯვებულად გამოაცხადა ზემოაღნიშნული ინფორმაციის დაზუსტების გარეშე და გაუფორმა 97,901 ევროს ღირებულების ხელშეკრულება.⁷⁸

- განახლებადი ენერგიის წყაროების ქსელში ინტეგრაციის კვლევითი მომსახურების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში⁷⁹ DIGSILENT GmbH-ის დაზუსტებული სატენდერო წინადადება არ შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, თუმცა გამოცხადდა გამარჯვებულად. კერძოდ, გამოვლინდა შემდეგი შეუსაბამობები:

1. პრეტენდენტი ვერ აკმაყოფილებდა 15-წლიანი გამოცდილების მოთხოვნას განახლებადი ენერგიის წყაროების დაგეგმვის, დიზაინის, პროექტირების და შეფასების სფეროში.⁸⁰
2. პრეტენდენტმა ვერ წარმოადგინა მსგავსი სამი კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტი.
3. წარმოდგენილი რეზიუმე ვერ ადასტურებდა ეკონომისტის სათანადო გამოცდილებას.⁸¹

ამრიგად, ელექტროსისტემამ პრეტენდენტს, რომელიც იმსახურებდა დისკვალიფიკაციას,⁸² გაუფორმა 137,512 ევროს ღირებულების ხელშეკრულება.

დასკვნა

ელექტროსისტემამ თავდაპირველად მოთხოვნილი სატენდერო პირობების უზულებელყოფით უპირატესობა მიანიჭა კონკრეტულ პრეტენდენტებს და გაუფორმა ჯამურად 5,706,291 ლარის ხელშეკრულებები, რითაც სახელმწიფო შესყიდვების შემთხვევაში დაარღვია კანონმდებლობის მოთხოვნები, ხოლო სპეციფიკის საფუძველზე განხორციელებული შესყიდვების შემთხვევაში არ გამოიყენა აღნიშნული სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული დაზუსტებისა და დისკვალიფიკაციის მექანიზმები. სატენდერო პირობების უზულებელყოფით გამარჯვებულად გამოცხადებულმა

⁷⁵ ნომინალური ძაბვის, ნომინალური დენის და მაქსიმალური დასაშვები ძაბვის ნაწილში.

⁷⁶ 2016 წლის 16 ივნისს გამოცხადებული ტენდერი (SPA160017549) სავარაუდო ღირებულებით - 259,322 ლარი (დღგ-ის გარეშე).

⁷⁷ შემსყიდველს უნდა შეძლებოდა რეფერენციის გამცემ კომპანიასთან დაკავშირება მიწოდებული მონაცემების გადამოწმების მიზნით.

⁷⁸ ცვლილებით გაიზარდა 7,077 ევროთი.

⁷⁹ 2017 წლის 6 ივლისს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი (SPA170009305) სავარაუდო ღირებულებით - 560,000 ლარი (დღგ-ის გარეშე).

⁸⁰ პირველი პროექტის დასაწყისად მითითებულია 2010 წელი.

⁸¹ ეკონომისტს უნდა ჰქონოდა 15 წლიანი ზოგადი სამუშაო გამოცდილება, არანაკლებ 10 წლის საერთაშორისო გამოცდილება განახლებადი ენერგიის წყაროების დაგეგმვის, დაპროექტების და ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების მომზადებაში, ხარჯთ-აღრიცხვის, ფინანსური ანალიზის და გადაწყვეტილების ანალიზის პროექტებში.

⁸² შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 აპრილის N 9 ბრძანების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

კონტრაქტორებმა შესაძლოა, ვერ დააკმაყოფილონ ელექტროსისტემის რეალური საჭიროებები და შესაბამისად, ფულადი სახსრები გაიხარჯოს არაეფექტიანად და არაეკონომიურად.

9.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა

- 2009 წელს ელექტროსისტემასა და კონსულტანტებს - ჰაკან შიმშეკსა და იუსუფ გიუნაის შორის გაფორმდა ხელშეკრულება,⁸³ რომლის საგანს წარმოადგენდა თურქეთში დაფუძნებული ელექტროსისტემის შვილობილი კომპანიისათვის ლიცენზიების და ნებართვების მოპოვება საქართველოდან თურქეთში ელექტროენერგიის იმპორტისა და თურქეთის ტერიტორიაზე ელექტროენერგიით საშინაო ვაჭრობის განსახორციელებლად.

კონსულტანტების მიერ აღნიშნული მომსახურება ვერ განხორციელდა, რადგან ელექტროსისტემამ კონსულტანტებს ვერ მიაწოდა საქართველოში წარმოებული ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვაზე საჭირო კომერციული კონტრაქტი⁸⁴. შემთხვევით გარემოებას წარმოადგენდა ასევე „ახალციხე-ბორჩხას“ გადამცემი ხაზით კომერციული გადადინებების დაწყების დაყოვნება. 2014 წლის 10 ივლისს, კონსულტანტების ინიციატივით⁸⁵ ხელშეკრულებაში შესული ცვლილებით, შეიცვალა მომსახურების შინაარსი და კონსულტანტებს იმპორტისათვის საჭირო ლიცენზიებისა და ნებართვების მოპოვების ნაცვლად დაევაღათ:

- თურქეთში საქართველოდან ელექტროენერგიის იმპორტიორებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მიღებაში დახმარება;
- ექსპორტიორებისა და ელექტროენერგიის შემსყიდველების მხარდაჭერა თურქულ მარეგულირებელ კომისიასთან და თურქეთის ელექტროენერგიის გადამცემ კორპორაციასთან ურთიერთობაში;
- ექსპორტ-იმპორტის საათობრივ დაგეგმვაში დახმარება;
- ელექტროსისტემის დახმარება თურქულ სახელმწიფო ორგანოებთან წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტაში და ნებისმიერი სხვა მხარდაჭერა.

ცვლილებიდან 70 დღეში გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით ხელშეკრულება ჩაითვალია შესრულებულად, რის საფუძველზეც ელექტროსისტემამ გაქვითა 180,000 აშშ დოლარის ავანსი და გადაიხადა დარჩენილი 20,000 აშშ დოლარი.

დასკვნა

2014 წლის 10 ივლისს ხელშეკრულებაში შესული ცვლილებით არსებითად შეიცვალა ხელშეკრულების საგანი და გასაწევი მომსახურების შინაარსი (მესამე დავალების ნაწილში) გახდა იმდენად ზოგადი ხასიათის, რომ აღარ ირკვევა კონსულტანტების კონკრეტული პასუხისმგებლობები და გასაწევი მომსახურების იმ მიზანთან კავშირი, რა მიზნითაც ელექტროსისტემამ 2009 წელს დაასაბუთა აღნიშნული კონსულტანტების მომსახურების შესყიდვის აუცილებლობა.

- 2015 წლის 10 აგვისტოს, ელექტროსისტემასა და ზემოაღნიშნული 2009 წლის ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს - ჰაკან შიმშეკს შორის საქართველოს მთავრობის განკარგულების⁸⁶ საფუძველზე, ერთ პირთან

⁸³ 2009 წლის 30 ივნისის ხელშეკრულება.

⁸⁴ ხელშეკრულების 4.2.4 პუნქტის მიხედვით, ელექტროსისტემა ვალდებული იყო კონსულტანტებისათვის აღმოეჩინა დოკუმენტური და ინფორმაციული მხარდაჭერა.

⁸⁵ კონსულტანტების 2014 წლის 30 აპრილის წერილი (ელექტროსისტემაში რეგისტრაციის ნომერი და თარიღი N1974; 20.05.2014)

⁸⁶ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის N 1661 განკარგულება.

მოლაპარაკების გზით, კვლავ გაფორმდა 300,000 აშშ დოლარის ღირებულების ხელშეკრულება.⁸⁷ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა საკონსულტაციო მომსახურების გაწევა.

ელექტროსისტემამ კონტრაქტორს გადაუხადა ავანსი - 120,000 აშშ დოლარის ოდენობით საბანკო გარანტიის წარმოდგენის გარეშე.⁸⁸ კონსულტანტმა ვერ შეძლო ხელშეკრულებით განსაზღვრული დავალებების შესრულება ვერც თავდაპირველი ხელშეკრულებით განსაზღვრულ და ვერც დამატებითი შეთანხმებებით გაგრძელებულ ვადებში. ხელშეკრულებაში შესული ბოლო ცვლილებით,⁸⁹ კონსულტანტის მიერ შესრულებული ერთი დავალების ღირებულებად განისაზღვრა 75,000 აშშ დოლარი, რაც გამოიქვითა გადახდილი ავანსიდან, ხოლო დარჩენილი 45,000 აშშ დოლარის დაბრუნების ვადად კონსულტანტს განესაზღვრა ხელშეკრულების შეწყვეტიდან 5 თვე. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველი ხელშეკრულებით კონსულტანტს უნდა შეესრულებინა 4 დავალება, რომელთა ინდივიდუალური ღირებულებები ხელშეკრულებით განსაზღვრული არ იყო, რაც ხელშეკრულების არსებით ხარვეზს წარმოადგენს. ამასთანავე, ჰაკან შიმშეკის მიერ ნაწილობრივ შესრულებულ მომსახურებასთან მიმართებით გადახდილი თანხის ადეკვატურობის დამადასტურებელი არავითარი მტკიცებულება ელექტროსისტემას არ გააჩნია.

დასკვნა

კონსულტანტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში არ იყო ინდივიდუალურად განსაზღვრული კონკრეტული დავალებების ღირებულებები. ნაწილობრივად შესრულებული მომსახურებისთვის ელექტროსისტემამ კონტრაქტორს აუნაზღაურა 75,000 აშშ დოლარი, რომლის გაანგარიშება ხელშეკრულებიდან გამომდინარე შეუძლებელია, შესაბამისად არ არის დასაბუთებული.

9.3. არასათანადოდ განსაზღვრული ტექნიკური მოთხოვნები

შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად, დაუშვებელია შესყიდვის ობიექტის აღწერილობაში ისეთი მახასიათებლების და ტერმინოლოგიის გამოყენება, რომლებიც ორაზროვანია და უშვებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.⁹⁰ შესყიდვების სააგენტოს მეთოდური მითითებების⁹¹ მიხედვით კი, ბუნდოვნად აღწერილი შესყიდვის ობიექტი წარმოადგენს ტენდერში მონაწილეობის ერთ-ერთ ბარიერს. თავის მხრივ, მკაფიოდ ჩამოყალიბებული სატენდერო დოკუმენტაცია ტენდერებში ზრდის კონკურენციას და შესაბამისად უზრუნველყოფს სახსრების ეკონომიურ ხარჯვას.

ავარიის საწინააღმდეგო სისტემის მოწყობილობების შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაციაში⁹² შესასყიდი საქონელი და მომსახურება არ იყო სრულყოფილად აღწერილი და არ იძლეოდა შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტის მოთხოვნილთან შედარების შესაძლებლობას. კერძოდ, ელექტროსისტემამ მოამზადა მოსაწოდებელი საქონლის და მომსახურების ჩამონათვალი, რისი ფასებიც უნდა წარმოედგინათ პრეტენდენტებს. ფასების ცხრილში, რომელიც უნდა შეეყვანა პრეტენდენტს მოცემული იყო შესყიდვის ობიექტის არასათანადო აღწერა, კერძოდ:

1. „დამატებითი მოწყობილობა ან სერვისი.“
2. „GPS საათი დროის სინქრონიზაციისათვის, ანტენა და ა.შ.“

⁸⁷ CMR150149428

⁸⁸ წარმოდგენის ვალდებულებისგან გათავისუფლდა მთავრობის განკარგულებით.

⁸⁹ 2018 წლის 28 დეკემბრის N3 ცვლილება.

⁹⁰ შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 აპრილის N 9 ბრძანების მე-11 მუხლის მე-7 პუნქტი.

⁹¹ <http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/metod-mititebebi-da-recomendaciebi/plans.pdf.aspx>

⁹² 2016 წლის 27 ივლისის გამოცხადებული ტენდერი (SPA160021329) სავარაუდო ღირებულებით - 1,800,847 ლარი (დღგ-ის გარეშე).

3. კარადა მოძრავი ჩარჩოთი და მინის წინა კარებით, მასში ჩამონტაჟებული მოწყობილობებით და საჭირო ავტომატებით, სატესტო ბლოკებითა და საკომუნიკაციო სისტემის მოწყობილობებით.

დასკვნა

ელექტროსისტემის მიერ შედგენილ შესასყიდი ობიექტის ბუნდოვან აღწერილობას პოტენციურ პრეტენდენტებში შესაძლოა გამოეწვია გაუგებრობა და გამხდარიყო შესყიდვაში მონაწილეობისგან თავის არიდების მიზეზი. ზემოაღნიშნული ფორმულირებები პრეტენდენტს საშუალებას აძლევდა ასევე ელექტროსისტემისთვის შეეთავაზებინა ის საქონელი და მომსახურება, რომლებიც შემსყიდველს არ ჰქონდა განსაზღვრული.

9.4. უზრუნველყოფის გარანტიის გარეშე გაფორმებული ხელშეკრულებები

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად,⁹³ თუ ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ან აღემატება 200,000 ლარს, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ან დაზღვევის მოთხოვნა სავალდებულოა.

კანონის აღნიშნული მოთხოვნა ელექტროსისტემის მიერ არ იქნა დაცული შემდეგ შემთხვევებში:

- კომპანია Siemens-თან გაფორმებული ხელშეკრულებით,⁹⁴ რომლის ღირებულებაც შეადგენდა 119,000 ევროს, არ იყო მოთხოვნილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.
- სადაზღვევო კომპანია „უნისონთან“⁹⁵ სახელშეკრულებო ღირებულების 88,159 ლარით გაზრდის⁹⁶ შემდგომ, ელექტროსისტემას გაზრდილი სახელშეკრულებო თანხის შესაბამისი საბანკო გარანტია აღარ მოუთხოვია.

დასკვნა

- ზემოაღნიშნული შემთხვევები ცხადყოფს, რომ ელექტროსისტემას არ აქვს დანერგილი სათანადო კონტროლის მექანიზმები, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულებების თანმდევი დოკუმენტაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს ფინანსური დანაკარგები.

10. რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

2011-2013 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში ასახული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით, ელექტროსისტემა განმარტავს, რომ ვინაიდან აღნიშნული ანგარიში გასაჩივრებულია და მიმდინარე სასამართლო პროცესი ჯერ არ დასრულებულა, რეკომენდაციების შესრულება შესაძლებელი იქნება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების არსებობის შემდეგ.

⁹³ შესყიდვების შესახებ კანონის 21-ე მუხლის 3¹ პუნქტი.

⁹⁴ CMR160201134

⁹⁵ SPA140031309, საწყისი სახელშეკრულებო ღირებულება - 1,763,186 ლარი დღგ-ის გარეშე.

⁹⁶ ხელშეკრულების 2016 წლის 28 ივლისის ცვლილება.

აუდიტორთა ხელმოწერა:

სახელი, გვარი

ქართლოს სახვამე

წამყვანი აუდიტორი

მაკა ჭიხორია

წამყვანი აუდიტორი

ალექსანდრე მდებრიშვილი

უფროსი აუდიტორი

გიორგი დავითაშვილი

აუდიტორი

დავით შავგულიძე

ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი

ხელმოწერა

The block contains five handwritten signatures in blue ink, each written on a horizontal dashed line. From top to bottom, the signatures correspond to: 1. Makachikhoria (ქართლოს სახვამე), 2. Alexandria (ალექსანდრე მდებრიშვილი), 3. Davitashvili (გიორგი დავითაშვილი), 4. Shavgulidze (დავით შავგულიძე), and 5. The IT Department Head (ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი).

დანართი N1

ხარჯვითი კატეგორიები, რომელთა ზრდაც არ არის დასაბუთებული რეაბილიტაციის გეგმის ცვლილებებით

კატეგორია	2014 წელი (მოქმედი)			ცვლილება 25 (29.06.2015)	ცვლილება 26 (29.02.2016)	ცვლილება 27 (15.03.2017)	ზრდა			სულ ზრდა
	2015 გეგმა	2016 გეგმა	2017 გეგმა	2015 გეგმა	2016 გეგმა	2017 გეგმა	2015	2016	2017	
	(1)	(2)	(3)	(4)	(5)	(6)	(4)-(1)	(5)-(2)	(6)-(3)	
საოპერაციო ხარჯები										
მატერიალური ხარჯები	-	(1,918,993)	-	-	(2,146,313)	-	-	227,321	-	227,321
დარიცხული ხელფასი	(11,729,884)	(12,125,763)	(12,533,519)	(12,668,400)	(14,079,792)	(14,642,984)	938,516	1,954,029	2,109,464	5,002,009
ტექნიკური პერსონალი										
დარიცხული პრემია	(1,954,981)	(2,020,961)	(2,088,920)	(2,111,400)	(2,346,632)	(2,440,497)	156,419	325,671	351,577	833,668
ტექნიკური პერსონალი										
სატელეკომუნიკაციო	-	(149,047)	(154,059)	-	(167,508)	(394,693)	-	18,461	240,634	259,096
კომუნალური	(55,289)	(57,155)	(59,077)	(148,060)	(64,211)	(392,083)	92,771	7,055	333,006	432,832
საკანცელარიო საქონელი	(36,017)	-	(38,484)	(36,715)	-	(41,000)	698	-	2,516	3,214
ტექმომსახურება	(343,015)	(354,592)	(366,516)	(411,225)	(561,498)	(682,680)	68,210	206,907	316,164	591,281
ლიცენზიები										
(მრიცხველების	(23,439)	(24,230)	(25,045)	(23,894)	(34,939)	(71,134)	454	10,709	46,089	57,252
დამოწმება)										
სულ საოპერაციო ხარჯები	(14,142,625)	(16,650,741)	(15,265,621)	(15,399,694)	(19,400,894)	(18,665,071)	1,257,069	2,750,153	3,399,451	7,406,672
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები										
დარიცხული ხელფასი	(5,269,948)	(5,447,807)	(5,631,001)	(5,691,600)	(6,225,864)	(6,474,899)	421,652	778,057	843,897	2,043,607
ადმინისტრაცია										
დარიცხული პრემია	(878,325)	(907,968)	(938,500)	(948,600)	(1,037,644)	(1,079,150)	70,275	129,676	140,650	340,601
ადმინისტრაცია										
საკანცელარიო საქონელი	(50,149)	-	(53,585)	(51,121)	-	(57,615)	972	-	4,031	5,003
წიგნების შესყიდვა (სპეც.										
ლიტერატურა, რუკები,	-	(81,142)	-	-	(108,554)	-	-	27,411	-	27,411
სტანდარტები)										
ჟურნალ-გაზეთების	(4,671)	(4,829)	(4,991)	(23,051)	(9,000)	(9,195)	18,380	4,171	4,204	26,755
შესყიდვა										
კოდექსის ელ. ვერსიის	(2,287)	(2,364)	(2,443)	(33,653)	(35,364)	(2,627)	31,366	33,000	184	64,550
შეძენა										
მივლინება ადგილობრივი	-	-	(155,105)	-	-	(170,540)	-	-	15,435	15,435

მივიღებთ საერთაშორისო	(62,953)	(65,078)	(67,266)	(438,200)	(342,000)	(615,050)	375,247	276,922	547,784	1,199,952
თანამშრომელთა	(1,089,203)	-	-	(1,110,321)	-	-	21,118	-	-	21,118
დაზღვევა										
ავტომატების დაზღვევა	(32,381)	(33,473)	(34,599)	(33,008)	(144,833)	(139,373)	628	111,359	104,774	216,761
სატელეკომუნიკაციო	(310,731)	(321,218)	(332,019)	(316,755)	(360,507)	(394,693)	6,024	39,289	62,674	107,987
კომუნალური	(231,752)	(239,574)	(247,630)	(236,246)	(268,958)	(392,083)	4,493	29,384	144,453	178,331
ორგტექნიკის მიმდინარე	(71,657)	(74,075)	(76,566)	(128,397)	(103,129)	(255,433)	56,740	29,053	178,867	264,660
მომსახურება										
წარმომადგენლობითი	(50,309)	(52,007)	(53,755)	(80,300)	(279,098)	(347,400)	29,991	227,092	293,645	550,728
ხარჯები										
საზოგადოებასთან										
ურთიერთობა (პრ) და										
რეკლამა (მ.შ. პრესაში	(47,483)	-	(50,737)	(50,677)	-	(112,500)	3,194	-	61,763	64,957
სატენდერო განცხადებების										
გამოქვეყნება)										
სათავო ოფისის მიმდინარე	(6,860)	(7,092)	(7,330)	(33,953)	(82,075)	(76,118)	27,093	74,983	68,788	170,863
სარემონტო სამუშაოები										
სამშენებლის/სპეციალური	(25,440)	(26,299)	(27,183)	(25,934)	(53,373)	(94,720)	493	27,074	67,537	95,104
ბლანკების დამზადება										
ობიექტების დაცვა	(1,847,891)	(1,910,257)	(1,974,494)	(1,883,718)	(1,927,189)	(2,560,215)	35,827	16,932	585,722	638,481
პერსონალის										
კვალიფიკაციის ამაღლების	(94,329)	(97,512)	(100,791)	(366,574)	(228,886)	(257,000)	272,245	131,374	156,209	559,827
ხარჯები										
ხარისხის მართვის	(21,587)	(22,316)	(23,066)	(2,112,382)	(1,146,879)	(1,200,193)	2,090,794	1,124,563	1,177,127	4,392,484
სისტემის დანერგვა										
ძირითადი საშუალებების										
ინვენტარიზაცია და	-	-	-	(118,246)	(209,226)	(359,931)	118,246	209,226	359,931	687,403
სამართლიანი										
ღირებულებების დადგენა										
იურიდიული	-	-	(317,158)	-	-	(341,014)	-	-	23,856	23,856
საბანკო მომსახურების	(4,857)	(5,021)	(5,190)	(4,951)	(22,800)	(23,000)	94	17,779	17,810	35,683
ხარჯები										

სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	(1,348,279)	-	(1,441,520)	(1,372,710)	-	(2,381,084)	24,430	-	939,564	963,994
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	(3,306,885)	(3,418,491)	(3,533,445)	(3,370,999)	(3,684,450)	(4,340,024)	64,114	265,959	806,579	1,136,652
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები:	(14,757,978)	(12,716,522)	(15,078,377)	(18,431,395)	(16,269,829)	(21,683,858)	3,673,417	3,553,306	6,605,481	13,832,204
სულ ხარჯები:	(28,900,602)	(29,367,264)	(30,343,998)	(33,831,089)	(35,670,723)	(40,348,929)	4,930,486	6,303,459	10,004,931	21,238,877

დანართი N2: გეგმური შემოსავლების და ხარჯების ფაქტობრივთან შედარება

კატეგორია	2014			2015			2016			2017		
	გეგმა 24 (09.12.2013)	ფაქტი	სხვაობა	გეგმა 25 (29.06.2015)	ფაქტი	სხვაობა	გეგმა 26 (29.02.2016)	ფაქტი	სხვაობა	გეგმა 27 (15.03.2017)	ფაქტი	სხვაობა
შემოსავლები	64,194,226	62,964,246	1,229,980	68,635,484	80,260,747	(11,625,263)	74,965,282	92,119,323	(17,154,041)	88,127,812	106,021,532	(17,893,720)
მათ შორის:												
დისპეტჩერიზაცია	15,999,000	13,614,835	2,384,165	10,471,192	10,504,528	(33,336)	9,477,946	9,465,536	12,410	8,356,842	8,658,541	(301,700)
გადაცემა 6/10 კვტ	3,974,408	8,463,026	4,488,618	6,720,849	2,156,077	4,564,772	-	-	-	-	-	-
გადაცემა 35/110/220 კვტ	43,005,312	36,351,451	(6,653,861)	50,227,936	56,554,573	(6,326,637)	64,211,055	63,823,093	387,962	78,443,637	82,060,012	(3,616,375)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	1,215,506	4,534,934	3,319,428	1,215,506	11,045,569	(9,830,063)	1,276,282	18,830,695	(17,554,413)	1,327,333	15,302,979	(13,975,646)
საოპერაციო ხარჯები	(18,017,514)	(16,366,934)	(1,650,580)	(17,930,547)	(17,517,401)	(413,146)	(21,888,762)	(19,739,530)	(2,149,232)	(22,722,208)	(21,142,794)	(1,579,414)
მათ შორის:												

ეგბ. ქ/სა და ს/ც-ის საექსპლუატაციო ხარჯები	(3,341,746)	(1,574,872)	(1,766,874)	(1,637,867)	(1,569,863)	(68,004)	(3,826,124)	(2,457,006)	(1,369,119)	(3,037,843)	(2,242,110)	(795,734)
– მატერიალური ხარჯები	(1,767,676)	(845,339)	(922,337)	(879,153)	(346,727)	(532,426)	(2,146,313)	(1,114,404)	(1,031,910)	(1,275,452)	(783,689)	(491,763)
– მიმდინარე სარემონტო სამუშაოები (მ.შ. მივლინების ხარჯები)	(1,574,069)	(729,533)	(844,536)	(758,715)	(1,223,137)	464,422	(1,679,811)	(1,342,602)	(337,209)	(1,762,391)	(1,458,421)	(303,971)
ტექნიკური პერსონალის ხელფასი (გადასახადის ჩათვლით)	(13,031,226)	(13,553,334)	522,108	(14,779,800)	(14,621,702)	(158,098)	(16,426,424)	(16,009,171)	(417,253)	(17,083,481)	(17,318,456)	234,975
– დარიცხული ხელფასი	(11,169,622)	(11,581,956)	412,334	(12,668,400)	(12,447,162)	(221,238)	(14,079,792)	(13,455,827)	(623,965)	(14,642,984)	(14,625,510)	(17,474)
– დარიცხული პრემია	(1,861,604)	(1,971,378)	109,774	(2,111,400)	(2,174,540)	63,140	(2,346,632)	(2,553,344)	206,712	(2,440,497)	(2,692,946)	252,449
კომუნალური მომსახურების ხარჯები	(189,943)	(159,652)	(30,291)	(166,038)	(204,449)	38,412	(231,719)	(214,351)	(17,368)	(786,776)	(288,896)	(497,881)
– სატელეკომუნიკაციო	(137,294)	(17,286)	(120,008)	(17,978)	(51,747)	33,770	(167,508)	(48,943)	(118,566)	(394,693)	(56,722)	(337,971)
– კომუნალური	(52,649)	(142,365)	89,717	(148,060)	(152,702)	4,642	(64,211)	(165,408)	101,198	(392,083)	(232,174)	(159,910)
საკანცელარიო საქონელი	(34,296)	-	(34,296)	(36,715)	-	(36,715)	(8,315)	-	(8,315)	(41,000)	-	(41,000)
ავტოტრანსპორტის და მანქანა- დანადგარების მომსახურება	(1,397,983)	(1,079,076)	(318,907)	(1,286,234)	(1,121,386)	(164,848)	(1,361,241)	(1,059,002)	(302,239)	(1,701,973)	(1,293,288)	(408,685)
– საწვავი	(1,071,351)	(811,684)	(259,668)	(875,009)	(756,765)	(118,244)	(799,743)	(569,248)	(230,495)	(1,019,293)	(761,418)	(257,876)
– ტექმომსახურება	(326,632)	(267,393)	(59,239)	(411,225)	(364,621)	(46,604)	(561,498)	(489,754)	(71,744)	(682,680)	(531,870)	(150,810)
სხვა ხარჯები	(22,320)	-	(22,320)	(23,894)	-	(23,894)	(34,939)	-	(34,939)	(71,134)	(45)	(71,089)

– ლიცენზიები (მრიცხველების დამოწმება)	(22,320)	-	(22,320)	(23,894)	-	(23,894)	(34,939)	-	(34,939)	(71,134)	(45)	(71,089)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(22,322,857)	(21,174,940)	(1,147,917)	(28,178,274)	(54,162,996)	25,984,722	(27,926,508)	(74,659,731)	46,733,223	(33,222,908)	(50,191,612)	16,968,704
მათ შორის:												
ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი (გადასახადის ჩათვლით)	(5,854,609)	(5,506,136)	(348,473)	(6,640,200)	(6,195,946)	(444,254)	(7,263,508)	(6,012,957)	(1,250,551)	(7,554,048)	(6,111,184)	(1,442,864)
– დარიცხული ხელფასი	(5,018,236)	(4,778,043)	(240,193)	(5,691,600)	(5,350,206)	(341,394)	(6,225,864)	(5,185,890)	(1,039,974)	(6,474,899)	(5,285,190)	(1,189,708)
– დარიცხული პრემია	(836,373)	(728,092)	(108,280)	(948,600)	(845,740)	(102,860)	(1,037,644)	(827,066)	(210,578)	(1,079,150)	(825,994)	(253,156)
საკანცელარიო საქონელი	(47,754)	(32,188)	(15,565)	(51,121)	(39,612)	(11,509)	(11,548)	(43,400)	31,852	(57,615)	(35,020)	(22,595)
ლიტერატურა და ჟურნალ გაზეთები	(81,370)	(2,736)	(78,634)	(131,909)	(11,828)	(120,080)	(152,918)	-	(152,918)	(58,478)	-	(58,478)
– წიგნების შესყიდვა (სპეც. ლიტერატურა, რუკები, სტანდარტები)	(74,744)	(2,736)	(72,008)	(75,205)	(11,828)	(63,377)	(108,554)	-	(108,554)	(46,656)	-	(46,656)
– ჟურნალ-გაზეთების შესყიდვა	(4,448)	-	(4,448)	(23,051)	-	(23,051)	(9,000)	-	(9,000)	(9,195)	-	(9,195)
– კოდექსის ელ. ვერსიის შეძენა	(2,178)	-	(2,178)	(33,653)	-	(33,653)	(35,364)	-	(35,364)	(2,627)	-	(2,627)
მივლინების ხარჯები	(198,173)	(425,919)	227,747	(520,100)	(458,770)	(61,330)	(430,000)	(533,720)	103,721	(785,590)	(720,927)	(64,663)
– ადგილობრივი	(138,226)	(60,584)	(77,642)	(81,900)	(73,275)	(8,625)	(88,000)	(78,032)	(9,968)	(170,540)	(252,488)	81,948
– საერთაშორისო	(59,946)	(365,335)	305,388	(438,200)	(385,494)	(52,706)	(342,000)	(455,688)	113,688	(615,050)	(468,440)	(146,610)
დაზღვევის ხარჯები	(1,068,013)	(728,844)	(339,169)	(1,143,329)	(712,053)	(431,277)	(819,133)	(791,832)	(27,300)	(1,138,726)	(1,009,458)	(129,268)
– თანამშრომელთა დაზღვევა	(1,037,179)	(667,617)	(369,562)	(1,110,321)	(601,367)	(508,954)	(674,300)	(710,957)	36,657	(999,353)	(919,316)	(80,037)

– ავტომატების დაზღვევა	(30,834)	(61,227)	30,393	(33,008)	(110,685)	77,677	(144,833)	(80,875)	(63,958)	(139,373)	(90,142)	(49,231)
კომუნალური მომსახურების ხარჯები	(516,572)	(366,845)	(149,727)	(553,001)	(341,772)	(211,229)	(629,465)	(378,018)	(251,447)	(786,776)	(425,425)	(361,352)
– სატელეკომუნიკაციო	(295,889)	(186,919)	(108,970)	(316,755)	(147,414)	(169,341)	(360,507)	(146,957)	(213,550)	(394,693)	(188,775)	(205,918)
– კომუნალური	(220,683)	(179,927)	(40,756)	(236,246)	(194,357)	(41,888)	(268,958)	(231,061)	(37,897)	(392,083)	(236,650)	(155,434)
სამეურნეო ხარჯები	(153,970)	(70,279)	(83,691)	(145,866)	(81,256)	(64,611)	(129,836)	(98,807)	(31,029)	(269,362)	(86,564)	(182,798)
– ოფისის მცირეფასიანი ინვენტარი და სხვა სამეურნეო ხარჯები	(85,735)	(10,042)	(75,693)	(17,469)	(9,098)	(8,371)	(26,707)	(9,927)	(16,779)	(13,929)	(6,285)	(7,645)
– ორგტექნიკის მიმდინარე მომსახურება	(68,234)	(60,237)	(7,997)	(128,397)	(72,158)	(56,239)	(103,129)	(88,879)	(14,249)	(255,433)	(80,280)	(175,153)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(47,906)	(106,455)	58,550	(80,300)	(451,911)	371,611	(279,098)	(606,513)	327,415	(347,400)	(256,799)	(90,601)
საზოგადოებასთან ურთიერთობა (პრ) და რეკლამა (მ.შ. პრესაში სატენდერო განცხადებების გამოქვეყნება)	(45,216)	(52,307)	7,091	(50,677)	(65,639)	14,962	(44,915)	(138,742)	93,827	(112,500)	(106,403)	(6,097)
სათავო ოფისის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები მომსახურების ხარჯები	(1,809,884)	(1,700,463)	(109,421)	(1,937,517)	(1,876,183)	(61,333)	(1,987,379)	(2,247,359)	259,980	(2,658,352)	(2,252,402)	(405,949)
– საშენობის/სპეციალური ბილანსების დამზადება	(24,225)	-	(24,225)	(25,934)	-	(25,934)	(53,373)	-	(53,373)	(94,720)	-	(94,720)
– ობიექტების დაცვა	(1,759,629)	(1,655,763)	(103,866)	(1,883,718)	(1,771,884)	(111,835)	(1,927,189)	(2,132,707)	205,517	(2,560,215)	(2,115,482)	(444,733)

– ავტოსადგომების იჯარა	(16,650)	(44,700)	28,049	(17,825)	(104,299)	86,475	-	(114,652)	114,652	-	(136,920)	136,920
– საბუთების აკინძვა	(9,379)	-	(9,379)	(10,040)	-	(10,040)	(6,817)	-	(6,817)	(3,416)	-	(3,416)
პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯები	(89,823)	(856,598)	766,774	(366,574)	(617,812)	251,238	(228,886)	(1,077,739)	848,853	(257,000)	(277,155)	20,155
საკონსულტაციო მომსახურება	(319,903)	(129,633)	(190,269)	(2,709,331)	(204,155)	(2,505,175)	(2,008,647)	(286,957)	(1,721,691)	(2,003,160)	(424,952)	(1,578,208)
– ფინანსური აუდიტი	(281,360)	(61,901)	(219,459)	(96,161)	(112,417)	16,255	(130,000)	(131,854)	1,854	(191,036)	(81,845)	(109,191)
– ფინანსური საკონსულტაციო მომსახურება	(17,987)	(2,842)	(15,144)	(2,542)	(26,924)	24,381	(2,542)	(2,546)	4	-	(213,486)	213,486
– ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა	(20,556)	-	(20,556)	(2,112,382)	-	(2,112,382)	(1,146,879)	-	(1,146,879)	(1,200,193)	-	(1,200,193)
– ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია და სამართლიანი ღირებულებების დადგენა	-	(53,508)	53,508	(118,246)	(39,415)	(78,831)	(209,226)	(81,492)	(127,735)	(359,931)	(44,246)	(315,684)
– ბაზრის მხარდამჭერი პროექტების ხარჯი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
– თურქეთის რესპუბლიკაში შვილობილი კომპანიის დაფუძნება (საკონსულტაციო მომსახურების გაწევა)	-	-	-	(380,000)	-	(380,000)	-	-	-	(252,000)	-	(252,000)
– თურქეთის რესპუბლიკაში სხვა საკონსულტაციო მომსახურების გაწევა	-	-	-	-	-	-	(520,000)	-	(520,000)	-	-	-

– ქონების რეგისტრაცია	-	(11,383)	11,383	-	(25,400)	25,400	-	(71,065)	71,065	-	(85,374)	85,374
იურიდიული	(282,645)	(1,108)	(281,537)	(21,900)	(1,465)	(20,435)	(36,600)	(27,903)	(8,697)	(341,014)	(13,365)	(327,649)
სხვადასხვა გადასახადები	(1,189,036)	(2,545,628)	1,356,592	(2,757,611)	(3,316,865)	559,255	(2,715,647)	(4,273,278)	1,557,630	(3,718,602)	(4,809,002)	1,090,400
– მიწის გადასახადი	(240,000)	(267,650)	27,650	(240,000)	(437,607)	197,607	(280,000)	(511,840)	231,840	(511,840)	(555,561)	43,721
– ქონების გადასახადი (გარდა მიწის გადასახადისა)	(634,142)	(1,895,663)	1,261,521	(1,900,000)	(2,492,215)	592,215	(1,971,489)	(3,312,377)	1,340,888	(2,741,437)	(3,705,805)	964,368
– საწევროების და რეგულირების გადასახადები (სემეკი)	(314,894)	(175,288)	(139,606)	(202,260)	(138,430)	(63,829)	(172,833)	(146,577)	(26,256)	(174,000)	(181,437)	7,437
– სხვა გადასახადები	-	(207,027)	207,027	(415,351)	(248,613)	(166,738)	(291,325)	(302,483)	11,158	(291,325)	(366,199.12)	74,874
საბანკო მომსახურების ხარჯები	(4,625)	(1,388)	(3,237)	(4,951)	(35,909)	30,958	(22,800)	(18,256)	(4,544)	(23,000)	(23,886)	886
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	(1,283,885)	(1,666,542)	382,657	(1,372,710)	(30,864,508)	29,491,798	(987,512)	(49,440,762)	48,453,250	(2,381,084)	(29,909,835)	27,528,751
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	(3,148,936)	(823,350)	(2,325,586)	(3,370,999)	(3,443,701)	72,702	(3,684,450)	(2,674,013)	(1,010,437)	(4,340,024)	2,498,423	(6,838,446)
გადავადებული ვალდებულებების დისკონტის ფინანსური ხარჯი	(6,174,008)	(6,131,407)	(42,601)	(6,286,226)	(5,435,200)	(851,026)	(6,412,090)	(5,989,074)	(423,016)	(6,314,057)	(6,219,707)	(94,350)
მოგება - პროცენტების, მოგების გადასახადისა და ცვეთა-	23,853,855	25,422,372	(1,568,517)	22,526,663	8,580,350	13,946,313	25,150,012	(2,279,938)	27,429,950	32,182,696	34,687,126	(2,504,430)

ამორტიზაციის გამოკლებამდე (EBITDA)													
ცვეთა-ამორტიზაცია	(34,505,753)	(29,326,829)	(5,178,924)	(35,078,326)	(28,499,377)	(6,578,950)	(33,780,078)	(29,947,518)	(3,832,560)	(32,035,022)	(34,228,600)	2,193,578	
მოგება - პროცენტების და მოგების გადასახადის გამოკლებამდე (EBIT)	(10,651,898)	(3,904,457)	(6,747,441)	(12,551,664)	(19,919,027)	7,367,363	(8,630,065)	(32,227,456)	23,597,390	147,674	458,526	(310,852)	
კრედიტებზე დარიცხული საპროცენტო გადასახადები	(3,191,451)	(3,902,691)	711,240	(5,216,429)	(4,381,009)	(835,420)	(8,181,388)	(4,393,381)	(3,788,007)	(9,689,622)	(5,380,270)	(4,309,352)	
მოგება - მოგების გადასახადის გადახდამდე (EBT)	(13,843,349)	(7,807,148)	(6,036,201)	(17,768,093)	(24,300,035)	6,531,943	(16,811,453)	(36,620,837)	19,809,384	(9,541,948)	(4,921,744)	(4,620,204)	
მოგების გადასახადი	2,076,502	3,739,966	(1,663,464)	2,665,214	3,072,867	(407,653)	2,521,718	(9,871,944)	12,393,662	-	-	-	
წმინდა მოგება	(11,766,847)	(4,067,182)	(7,699,665)	(15,102,879)	(21,227,169)	6,124,290	(14,289,735)	(46,492,781)	32,203,046	(9,541,948)	(4,921,744)	(4,620,204)	

დანართი N3.

ხანდაზმული მოთხოვნები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დებიტორების დასახელება	ლარი
„რაო როსია“	848,630
შპს „ვარდნილჰესების კასკადი“	375,719
სს „საქართველოს რკინიგზა“	42,231
სს „ელიტა“	54,265
სულ:	1,320,845

დანართი N4.

ინფორმაციული ტექნოლოგიების გარემოს შეფასება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 2011-2013 წლების შესაბამისობის აუდიტის ფარგლებში ჩაატარა ინფორმაციული ტექნოლოგიების გარემოს შეფასება. 2014-2017 წლების შესაბამისობის აუდიტის ფარგლებში მოხდა ელექტროსისტემის მიერ წინა აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება.

IT სტრატეგია და დაგეგმვა

IT სტრატეგია წარმოადგენს ორგანიზაციის გრძელვადიან გეგმას, რომელიც მოიცავს კონკრეტულ სტრატეგიულ მიზნებს, ზუსტ ვადებს, IT-სთან დაკავშირებულ გამოვლენილ რისკებსა და იმ ნაბიჯების ერთობლიობას, რომელიც საჭიროა ამ რისკების მართვისათვის. ორგანიზაციის ერთიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის ფარგლებში განსაზღვრულია, თუ რა როლი აქვს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს სტრატეგიული მიზნების მიღწევაში, ხოლო IT სტრატეგია უფრო დეტალურად განსაზღვრავს ზემოთ ხსენებული მიზნების მიღწევის საშუალებებს. IT სტრატეგიულ მიზნებში უნდა განისაზღვროს ორგანიზაციის წინაშე არსებული საჭიროებები, შესაძლებლობები არსებული IT ინფრასტრუქტურის გამოყენებითა და გაწერილი გეგმის შესასრულებლად აუცილებელი რესურსები.

2011-2013 წლებში „ელექტროსისტემას“ არ გააჩნდა ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრატეგიული განვითარების ცალკეული გეგმა, თუმცა IT მიმართულება გათვალისწინებული იყო სამსახურის ერთიან სტრატეგიაში. შესაბამისად, აუდიტის სამსახურის მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაცია: „ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით კომპანიამ სასურველია შეიმუშაოს საერთაშორისო სტანდარტებითა და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების შესაბამისი IT სტრატეგია, რომელიც ასევე გაითვალისწინებს ორგანიზაციის ზოგად სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს“.

შესრულების სტატუსი

ელექტროსისტემას აქვს საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების 2017-2027 წლების გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია ზოგადი IT მიმართულება, თუმცა აუდიტის პერიოდში „ელექტროსისტემას“ არ შეუმუშავებია ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების ცალკეული გეგმა, სადაც ასახული იქნება ინფორმაციული სისტემების განვითარების ხედვა და ზემოთ აღნიშნული ქსელის განვითარების გეგმაში განსაზღვრული მიზნების მიღწევისთვის საჭირო IT რესურსები.

„აღფაცენტრი“

„აღფაცენტრი“ წარმოადგენს ელექტროსისტემის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ექვემდებარება ელექტროსისტემის რეაბილიტაციის მმართველთა საბჭოს წევრს კომერციულ, მარეგულირებელ და იურიდიულ საკითხებში. „აღფაცენტრის“ საქმიანობის ფუნქციას წარმოადგენს ელექტროსისტემის მიერ გაწეული გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის მომსახურების, შესაბამისი საფასურის ავტომატურ რეჟიმში

დაანგარიშების, დარიცხვის და დარიცხული თანხების ამოღების გზით ელექტროსისტემისთვის სტაბილური ფულადი შემოსავლების მიღების უზრუნველყოფა. „ალფაცენტრის“ პროგრამულ უზრუნველყოფას წარმოადგენს იმავე დასახელების საინფორმაციო სისტემა - АльфаЦЕНТР, რომელიც ელექტროსისტემამ შეიძინა რუსული კომპანია Эльстер Метроника-სგან.

პაროლების პოლიტიკა

2011-2013 წლებში „ალფაცენტრს“ არ გააჩნდა ფორმალური პაროლების პოლიტიკა ინფორმაციულ სისტემა „ალფაცენტრთან“ მიმართებაში. პაროლების პოლიტიკის არარსებობა ზრდის სისტემებზე არასანქცირებული წვდომის და მონაცემთა გამჟღავნების/არასანქცირებული ცვლილების რისკს. შესაბამისად, გაიცა შემდეგი რეკომენდაცია: „აუცილებელია, მონაცემთა ბაზის ინჟინრებმა უზრუნველყონ საინფორმაციო სისტემა „ალფაცენტრის“ სისტემური და ადმინისტრატორის მომხმარებლების პაროლების სათანადოდ დადოკუმენტირება და შენახვა, რათა მონაცემთა ბაზის სარეზერვო ასლის აღდგენისას შესაძლებელი გახდეს ბაზაზე წვდომა“.

შესრულების სტატუსი

2016 წლის მაისში „ელექტროსისტემის“ რეაბილიტაციის მმართველთა საბჭომ დაამტკიცა ზედა დონის ესკაა სისტემის ცენტრალური აღრიცხვის გამზომ-გამოთვლითი კომლექსის მონაცემთა ბაზების ადმინისტრირების პაროლების შექმნის, განახლების და შენახვის პროცესი, რომლის მიხედვით, ზედა დონის ესკაა სისტემის პროგრამული და ტექნიკური განყოფილების ინჟინერი ორ თვეში ერთხელ სპეციალური პაროლების გენერირების ვებსაიტის საშუალებით ქმნის ზედა დონის ესკაა სისტემის ცენტრალური აგგკ-ის მონაცემთა უკვე არსებული, ასევე ახლად დამატებული ბაზების ადმინისტრირების პაროლებს, რომლის სარგებლობის უფლების მიკუთვნებას და მის ფარგლებს განსაზღვრავს განყოფილების უფროსი, „ალფაცენტრის“ სამსახურის უფროსთან შეთანხმებით. განყოფილების ინჟინერი ადგენს პაროლების განახლების აქტს. ახალი და ძველი პაროლები ინახება სპეციალურ ელექტრონულ ფაილში.

აუდიტის პროცესში მოხდა არსებული პაროლების რეესტრის დათვალიერება.

დასკვნა

აღნიშნული პაროლების რეესტრი შესაბამისობაშია დამტკიცებულ პროცესთან. ელექტროსისტემამ შეასრულა 2011-2013 წლების აუდიტის ფარგლებში, პაროლების პოლიტიკის შესახებ გაცემული რეკომენდაცია.

სარეზერვო ასლების პოლიტიკა

2011-2013 წლებში ალფაცენტრს არ გააჩნდა ფორმალური პოლიტიკა მონაცემთა ბაზების სარეზერვო ასლების წარმოებისთვის. აღნიშნული პროცესი ხორციელდებოდა სხვადასხვა სიხშირით. მაგალითად, 2011 წელს შექმნილი იყო 12 სარეზერვო ასლი, 2012 წელს - 4 სარეზერვო ასლი, ხოლო 2013 წელს - 2 სარეზერვო ასლი.

მონაცემთა ბაზის ინჟინრის სამუშაო აღწერილობაში მითითებული იყო, რომ ინჟინერს უნდა ეწარმოებინა მონაცემთა ბაზის ყოველთვიური არქივაცია. შესაბამისად, მიუხედავად პოლიტიკებისა და პოცედურების არ არსებობისა, სარეზერვო ასლების (არქივების), მინიმუმ, თვეში ერთხელ მაინც უნდა შექმნილიყო.

დამატებით, მიუხედავად ასლების არარეგულარული წარმოებისა, არ ხდებოდა მათი სატესტო რეჟიმში აღდგენა, რათა მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორი დარწმუნებულიყო, რომ შექმნილი ასლი არ იყო დაზიანებული და საჭიროების შემთხვევაში, ორგანიზაცია შეძლებდა მონაცემების აღდგენას.

შესრულების სტატუსი

2014 წელს შეიქმნა მონაცემთა ბაზის 4 სარეზერვო ასლი, ხოლო 2015 წელს - 7 ასლი. 2016 წლის თებერვალში ელექტროსისტემის რეაბილიტაციის მმართველთა საბჭომ დაამტკიცა ზედა დონის ესკაა სისტემის ცენტრალური აგგ-ის მონაცემთა ბაზების დაარქივების პროცესი, რომლის მიზანია „ალფაცენტრის“ სერვერებზე არსებული ყველა მონაცემთა ბაზის უსაფრთხოდ შენახვა და დაცვა. პროცესი ეხება „ალფაცენტრის“ ზედა დონის ესკაა სისტემის ტექნიკური და პროგრამული მომსახურების განყოფილებებს. აღნიშნული პროცესის მიხედვით, ზედა დონის ესკაა სისტემის პროგრამული და ტექნიკური მომსახურების განყოფილების ინჟინერი ორ კვირაში ერთხელ აწარმოებს ზედა დონის ესკაა სისტემის ცენტრალური აგგ-ის ყველა მონაცემთა ბაზის სრულ დაარქივებას და ადგენს მონაცემთა ბაზის დაარქივების აქტს, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებს განყოფილების უფროსი.

ასევე 2016 თებერვალში ელექტროსისტემის რეაბილიტაციის მმართველთა საბჭომ დაამტკიცა ზედა დონის ესკაა სისტემის ცენტრალური აგგ-ის დაარქივებული მონაცემთა ბაზების აღდგენის პროცესი, რომლის მიხედვით ზედა დონის ესკაა სისტემის პროგრამული და ტექნიკური მომსახურების განყოფილების ინჟინერი სამ თვეში ერთხელ აწარმოებს ზედა დონის ესკაა სისტემის ცენტრალური აგგ-ის დაარქივებული მონაცემთა ბაზის აღდგენას სპეციალურ სისტემურ ბლოკზე (კომპიუტერი/სერვერი). განყოფილების ინჟინერი ადგენს დაარქივებული მონაცემთა ბაზის აღდგენის აქტს, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებს განყოფილების უფროსი.

დასკვნა

დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ 2014 და 2015 წლებში სარეზერვო ასლების წარმოება ხდებოდა არარეგულარულად, ხოლო 2016 და 2017 წლებში სარეზერვო ასლებს აწარმოებდნენ 2016 წლის თებერვალში დამტკიცებული პროცესის შესაბამისად. ელექტროსისტემამ შეასრულა 2011-2013 წლების აუდიტის ფარგლებში, სარეზერვო ასლების პოლიტიკის შესახებ გაცემული რეკომენდაცია.

კატასტროფიდან აღდგენა (Disaster Recovery)

2011-2013 წლებში ალფაცენტრს არ გააჩნდა კატასტროფიდან აღდგენის ფორმალური პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ ალფაცენტრი იყენებდა 4 სხვადასხვა სერვერს, ისინი განთავსებული იყო ერთსა და იმავე ოთახში, რის გამოც თითოეული მათგანი თანაბრად დაუცველი (მოწყვლადი) იყო ერთი და იმავე საფრთხეების (მიწისძვრა, ხანძარი, ოთახის დატბორვა და ა.შ.) მიმართ. გარდა ამისა, „ალფაცენტრს“ არ გააჩნდა სარეზერვო ობიექტი, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა სისტემის ავარიულ რეჟიმში გამართვა და კატასტროფის შედეგების ლიკვიდაცია. აუდიტის პერიოდში ელექტროსისტემამ გეოგრაფიულად დაშორებულ ლოკაციებზე მოაწყო რამდენიმე სარეზერვო მონაცემთა ცენტრი კატასტროფიდან აღსადგენად. აღნიშნული ხელს უწყობს სახელმწიფო ენერგოუსაფრთხოებას, რადგან ელექტროსისტემის ინფორმაციული სისტემების მდგრადი, საიმედო და უწყვეტი ფუნქციონირება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა სახელმწიფოს ელექტროენერგიით მომარაგებისათვის.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38